ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 30 აპრილი, 2021 №75 (8604) ფასი: 60 თეთრი

თემურ ხაჩიშვილი: „ლაშა ნაცვლიშვილმა ჩემი მკვლელობა დაგეგმა“

გვ.5

გვ.5

„აბასთუმანში დავით მელიქიძის მკვლელობაში ბრალდებულს მისთვის საქმის წართმევა სურდა“

„ნიკა მელიას გამოსვლამდე ოპოზიცია არ უნდა შესულიყო პარლამენტში“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „არ გამოვრიცხავ, სააკაშვილი ჩამოვიდეს და ციხეში ჩაჯდეს იმ იმედით, რომ ხელისუფლების ცვლილება გარდაუვალია და ნელსონ მანდელასავით ციხიდან ცხენზე ამხედრებული გამოვა“

„ოცნებისთვის“ მთავარია ბიძინას არ აგინონ“

გიგა მაქარაშვილი: „ეს კანონი პროტესტს კი არ შეანელებს, გაზრდის... პირდაპირ გადადგმული ნაბიჯია რუსეთისკენ, ბელორუსისა და ჩრდილოეთ კორეისკენ“



გვ.2

გვ.2

აშშ-ის საელჩო: „ოცნების“ მოქმედებით ძალიან იმედგაცრუებული ვართ“

„ჩვენთვის მთავარია, როდის გამოვა ნიკა მელია და რა ფორმით გამოვა“

გვ.3

რომან გოცირიძე: „გახარია ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას, ვერც სხვებმა უნდა აიცილონ. ყველამ იცის, რომ ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილი იდგა“

მამუკა ტუსკაძე: „საპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტში აქამდეც უნდა შესულიყო“

გვ.4

„ოპოზიციაში ყველას უნდა მოეთხოვა ვადამდელი არჩევნები“

შოთა მალაშხია: „ეს პარლამენტი არანაირ რეფორმას არ გაატარებს. მანდ მიღებული საარჩევნო ცვლილებები მკვდარზე „ვენოკი“ იქნება“

გვ.4

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.404 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

ISSN 1987-9385

2 ალეკო ელისაშვილი: „ნიკა მელია თავისი ნებით ზის ციხეში“

3 გრიგოლ ლილუაშვილი: „სიურპრიზებს არ ველოდები“

5 ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებულები პატიმრობაში დატოვეს

6 ბულგარეთმა რუსი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა

„ოცნებისთვის“ მთავარია ბიძინას არ აგინონ“

გიგა მაქარაშვილი: „ეს კანონი პროტესტს კი არ შეანელებს, გაზრდის... პირდაპირ გადადგმული ნაბიჯია რუსეთისკენ, ბელორუსისა და ჩრდილოეთ კორეისკენ“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე სანქციების გამკაცრებას მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა. ცვლილებები ეხება იმ მუხლებს, რომლითაც სამოქალაქო აქტივისტებს აკავებენ. ცვლილებებით იზრდება როგორც ფინანსური, ასევე ადმინისტრაციული პატიმრობის ვადები. არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციის წარმომადგენლები და აქტივისტები ცვლილებებს საგანგაშოდ მიიჩნევენ.

როგორ აფასებს აღნიშნულ ცვლილებას და რას ემსახურება ეს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სამოქალაქო აქტივისტი, მოძრაობა „სირცხვილიას“ ერთ-ერთი ლიდერი **გიგა მაქარაშვილი** საუბრობს:

– რას ემსახურება მიღებული კანონი?

– რთული გამოსაცნობი არ არის, რა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს კანონპროექტის მიღებას. ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ დაჩქარებული წესით ცდილობს აკრძალოს პროტესტი ქვეყანაში. ეს არის დაშინების მცდელობა, აქტივისტებზე სხვადასხვა სახის ზეწოლა. როდესაც 5-6 წლის წინ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე 100 ლარი იყო, იქამდე მივედით, რომ ჯერ 500 ლარი გახადეს, მერე 1000 და ახლა უკვე ისეთი კანონი დაამტკიცეს და ისე აწიეს... განმეორებით დარღვევაზე ისეთ თანხებზე ავიდნენ, რომ... წინასწარი დაკავების ვადა 12 საათიდან 48 საათამდე გაიზარდა, რაც ვერცერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობასთან ახლოსაც კი ვერ მიდის. ასე არ ექცევიან მოქალაქეებს, განსაკუთრებით ადმინისტრაციულის დროს. მერე უკვე ადმინისტრაციული პატიმრობა 10 დღიდან 15-მდე გაზარდეს, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების დაშინებისკენ მიმართული ქმედებაა.

ამ ახალ კანონს, რაც პარლამენტმა გუშინ მიიღო, მას არაფერი არ ატყვია იმის, რომ რამდენიმე დღის წინ ევროპელი დიპლომატი იყო ჩვენთან და მისი თანდასწრებით „ქართულმა ოცნებამ“ დადო პირობა, რომ იწყებოდა შერიგება და რაღაცების გადაფასება და ა. შ. მოკლედ, როგორც კი წავიდნენ ევროპელი დიპლომატები, მაშინვე დაიწყეს თავისთვის კომფორტული ზონის შექმნა და ეს კომფორტული ზონა არის ის, რომ ქუჩაში არ უნდა იყოს პროტესტი. ის, რომ ხალხს შია, უკიდურეს გაჭირვებაშია – წამალს ვერ ყიდულობს, საჭმელს თუ ბენზინს ვერ ასხამენ მანქანაში, ამაზე

არ არის ლაპარაკი. „ოცნებისთვის“ მთავარია ქუჩაში არ იყოს პროტესტი და ბიძინას არ აგინონ. აქეთკენ არის მიმართული და ბუნებრივია, ვერავითარ შემთხვევაში პროტესტს ვერ შეანელებს. პირიქით, უფრო მეტი ადამიანი გაბრაზდება და გამოვა ქუჩაში გასაპროტესტებლად და კიდევ უფრო დაშორდება „ქართულ ოცნებას“. ეს არის ავტორიტარიზმისა და დიქტატურისკენ გადადგმული ნაბიჯი.

– აღნიშნეთ, რომ დასავლურ ქვეყნებში არ არის ასეთი კანონმდებლობა, მაგრამ რუსეთთან მიახლოება არის?

– კი, პირდაპირ გადადგმული ნაბიჯია რუსეთისკენ, ჩრდილოეთ კორეისა და ბელორუსისკენ. მარტო ეგეთ ქვეყნებშია ასე. ვერც ერთ ქვეყანაში მსგავსი მიახლოებულიც კი არ ხდება.

– ამ კანონის მიღებას არ გააპროტესტებთ?

– ამის განხილვა გუშინწინ დაიწყეს შუაღამით, ფორსირებულად და ისე დაამტკიცეს, რომ რეალურად რაც ხდებოდა, ეს გავიგეთ პოსტფაქტუმ.

– ჩუმად გააკეთეს?

– კი, ფაქტია, რომ ჩუმად გააკეთეს, შუაღამით. მაშინ, როდესაც კომენდანტი იყო, პარლამენტარები მუშაობდნენ და სასწრაფოდ გაიტანეს ეს კანონპროექტი. კიდევ ერთხელ ვიძახი, რომ ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის თვალსაზრისით, თუმცა ეს აქტივიზმს ხელს ვერ შეუშლის და პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავებს.

– მაგრამ მაინც ხომ არ იქნება გარკვეულ ადამიანებში თავის არიდება?

– მიზანი ეს არის. ვიღაცები რომ შეშინდნენ, ესეც არ არის გამორიცხული, მაგრამ მე მგონია, რომ პირიქით, გაიზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც გაბრაზდება ამით და მეტი ადამიანი გამოვა შემდეგი პროტესტის დროს. რეალურად, როდესაც ქვეყანაში მძიმე კრიზისია და აქტივიზმი გაშლილია მთელი ქვეყნის მასშტაბით, ეს აწუხებს „ოცნებას“. ეს რომ არ აწუხებდეს, ასე დაჩქარებულად ასეთ რაღაცას არ მიიღებდა.

– აღნიშნეთ, რომ რამდენიმე დღის წინ ევროპელი დიპლომატები იყვნენ ჩამოსულები და როგორც კი წავიდნენ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ეს იმაზე ხომ არ მიანიშნებს, რომ „ოცნება“ მუდმივად წნეხის ქვეშ უნდა იყოს დასავლეთისგან?

– არა მარტო „ქართული ოცნება“, არამედ ნებისმიერი ხელისუფლება უნდა იყოს წნეხის ქვეშ და პირველ რიგში საზოგადოების მხრიდან. იმისათვის, რომ არ დაუშვას ისეთი კანონების მიღება და ისეთი ქმედებები, რაც ქვეყანას აზარალებს. მათ შორის საერთოდ არ არის სასიამოვნო, როდესაც ევროპელი და ამერიკელი დიპლომატების გარეშე ვერ მოგვიგვარებია ჩვენი შიდა პოლიტიკური საკითხები, მაგრამ რადგან ასე გვიჭირს, აუცილებელია, რომ ჩვენი დასავლელი მეგობრები მუდმივად იყვნენ ინფორმირებულები. ჩვენ ვართ სამოქალაქო მოძრაობა, რომელსაც კარგი კონტაქტები აქვს დასავლეთში და ვახდენთ ინფორმირებას – დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების. შესაბამისად, „ქართულ ოცნებას“ ვერ და არ ექნება ხელ-ფეხი გახსნილი და რაც უფრო მეტად მოუჭერს მარწუხებს, მით უფრო გაუჭირდება.

– დღეს რატომ ვერ არის საზოგადოებრივი წნეხი ისე აქტიური, როგორც ეს საჭიროა დემოკრატიული ქვეყნისთვის?

– ამას ბევრი წინაპირობა აქვს. მათ შორის არის პოლიტიკური კლასი, რომელსაც არ აქვს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნდობა. ოპოზიციის დიდი ნაწილი წინა ხელისუფლებიდან არის, რომელსაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა. დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ დიქტატურაზეა გადასული. პანდემია, რომელიც ფაქტობრივად ბორკილებს გვადებს იმისათვის, რომ მოქალაქეები ხშირად გამოვიდნენ ქუჩაში. ბევრი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლის ფართომასშტაბიანი პროტესტის გაკეთებას. მათ შორის, ივანიშვილი თესავს უიმედობას, როდესაც ის გამოდის და ამბობს, რომ ამ ქვეყანაში არაფერი გამოვა, დაგეხმარები და წადი სხვა ქვეყანაში და იქ იმუშავეო, ამ ვითარებაში რისი იმედი უნდა გქონდეს?! ფაქტია, რომ უნდა მოხდეს ცვლილებები. თუნდაც ეს ხელშეკრულება, რასაც ერთი კვირის წინ ხელი მოეწერა, არის საფუძველი, რომ დავიწყოთ ახალი ქვეყნის მშენებლობა. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს პრინციპების გადაბიჯების ხარჯზე, არამედ ეს უნდა მოხდეს საერთო საქმის კეთების ხარჯზე. მგონია, რომ ჩვენ ქვეყანას აქვს რესურსი, რომ 43%-ზე ნაკლები მიაღებინოს „ოცნებას“ ადგილობრივ არჩევნებზე, დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები და აუცილებლად გაკეთდება ერთხელ და სამუდამოდ ინფორმირებული არჩევანი.

– მხარს უჭერთ ოპოზიციის იმ ნაწილს, ვინც პარლამენტში შევიდა?

– კი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელმოწერა უნდა შემდგარიყო, თუმცა ამნისტიის მუხლი, რომელიც შეთანხმებაშია შეტანილი, ეს ჩვენთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია და აუცილებლად გვექნება ამ საკითხზე პროტესტი. კანონპროექტს, რომელსაც „ოცნება“ არეგისტრირებს, აცდენილია იმას, რასაც დაგვპირდნენ.

– ამდენი ხანი ოპოზიცია არ იყო პარლამენტში, შედის და პირველივე კვირას ასეთ კანონს იღებენ, თან ჩუმად, როგორც თქვენ თქვით. თქვენ რა გზავნილი დაინახეთ ამაში?

– ამას ოპოზიციის გარეშეც მიიღებდნენ. ოპოზიციას მხარი არ დაუჭერია ამ კანონპროექტისთვის, მაგრამ მაინც მიიღეს. რომ არ შესულიყო ოპოზიცია, მაინც მიიღებდნენ. ამასთან ოპოზიცია არანაირ კავშირშია.

– თავად ფაქტია ასეთი, რომ ოპოზიციის შესვლას დაელოდნენ და შემდეგ მიიღეს და არა იქამდე. რატომ?

– ალბათ პასუხისმგებლობა რომ გადაუნაწილონ, მაგრამ ამ კანონის მიღებაში მხოლოდ ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

ალეკო ელისაშვილი: „ნიკა მელია თავისი ნებით ზის ციხეში“

– ნიკა მელია თავისი ნებით ზის ციხეში, თავს იწვალებს.

ამის შესახებ „მოქალაქეების“ ლიდერმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ალეკო ელისაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

როგორც ელისაშვილი აღნიშნავს, ციხიდან რომ გამოვა მელია, განცხადებებთან დაკავშირებით პასუხს გასცემს.

– ევროკავშირი რომ გეუბნება, გირაოს გადაგიხდიო, ამაზე მეტი აღიარება ადამიანს ცხოვრებაში რა უნდა გინდოდეს ხომ? ყაჩაღი, მძარცველი, ბანდიტი, კაცის მკვლელი რომ იყო, ევროკავშირი არ გეტყოდა. თავისი ნებით ზის ციხეში, თავს იწვალებს უბრალოდ. ციხეში ზის, რომ გამოვა, ძალიან კარგადაც გავცემ პასუხს, მანამდე ნათქვამ სიტყვებზეც, ახლა ნათქვამ სიტყვებზეც. გამოვა და ყველა იქნება ამის შემსწრე, რას ვეტყვი, როგორ ვეტყვი და როგორ პასუხსაც მიიღებს ჩემგან. ასე ზის თუ ისე, ციხეში ზის რეალურად ხომ? – არ მინდა ამაზე ბევრი ლაპარაკი, – აღნიშნა მან.

ამასთან, ელისაშვილის მტკიცებით, „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში შევა.

– ხომ გეუბნებოდით, ოპოზიცია პარლამენტში შემოვათქო, ხომ შემოვიდნენ. „ნაციონალური მოძრაობაც“ შემოვა პარლამენტში. ჭრიალ-ჭრიალით მოდიან, – განაცხადა ელისაშვილმა.

ლარიბაშვილი გახარიასთან დაკავშირებულ 100 თანამშრომელს ათავისუფლებს

ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის ადმინისტრაციას ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას, კადრებისგან წმენდს.

ტვ. პირველის ინფორმაციით, კანცელარიის 100-ზე მეტ თანამშრომელს ბრძანება ნომრით 113 უკვე ჩაბარდა. უშვებენ ყველას, ვისაც გახარიასთან შემხებლობა ჰქონდა. გახარიას დროს მიღებული კადრები გააფრთხილეს, რომ შესაძლოა მათი დიდი ნაწილი სამსახურის გარეშე დარჩეს.

„პირველებს“ ჩაუვარდა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, მთავრობის ადმინისტრაციაში რეორგანიზაცია დაიწყო. შექმნილია სპეციალური კომისია, თუმცა არავინ იცის, კონკრეტულად ვის გაუშვებენ.

აშშ-ის საელჩო: „ოცნების“ მოქმედებით ძალიან იმედგაცრუებული ვართ“

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილ ცვლილებებს ეხმაურება.

განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„ჩვენ ძალიან იმედგაცრუებული ვართ მმართველი პარტიის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების ნაჩქარევად მიღების გამო. ამ ცვლილებების დაჩქარებული წესით მიღება არასაჭირო და უსარგებლო იყო. ოპოზიციურ პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან სიღრმისეული კონსულტაციის ნაკლებობა აჩენს კითხვებს ამ ცვლილებების მიზანთან დაკავშირებით.

საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს შორის დადებული 19 აპრილის შეთანხმება მხარეებს მოუწოდებს, ერთობლივად იმოქმედონ კეთილსინდისიერად, რათა შეამცირონ ღრმა პოლარიზაცია, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას.

„ქართულ ოცნებას“, როგორც საპარლამენტო უმრავლესობას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია, ამ სულისკვეთებით განახორციელოს 19 აპრილის შეთანხმება და მართოს გამჭვირვალედ და ინკლუზიურად. ასეთ მნიშვნელოვან კანონმდებლობაზე დაინტერესებულ მხარეებთან საფუძვლიანი კონსულტაციების არგამართვის გამო, მმართველმა პარტიამ ამ შემთხვევაში მოლოდინი არ გაამართლა.

საქართველოში ახლა მრავალფეროვანი, მრავალპარტიული პარლამენტია, რასაც ქართველმა ამომრჩეველმა მისცა ხმა. დროა, ყველა პარტიამ, განსაკუთრებით „ქართულმა ოცნებამ“, ერთად იმუშაოს პარლამენტში საქართველოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტული საკითხების გადასაჭრელად“.

მარტში წლიურმა ინფლაციამ 7.2 პროცენტი შეადგინა

თებერვალთან შედარებით ფასები 4.2 პროცენტით გაიზარდა

2021 წლის მარტში წლიურმა ინფლაციამ 7.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო თებერვალთან შედარებით ფასები 4.2 პროცენტით გაიზარდა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკი ავრცელებს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ინფლაციის ზრდის მიზეზი კორონავირუსის გამო შექმნილი არაორდინარული ვითარებაა, რის გამოც მიწოდების მხარეს არსებულმა რამდენიმე ფაქტორმა ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით ერთდროულად იმოქმედა.

„მარტში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად კომუნალურ გადასახადებზე საბიუჯეტო სუბსიდიის მოხსნამ იქონია გავლენა, ჯამში 3.1 პროცენტული პუნქტით (პპ). ამავე ფაქტმა წლიური ინფლაცია 1.4 პპ-ით გაზარდა.

სურსათი წინა წლის მარტთან შედარებით 5.5 პროცენტით გაძვირდა, რითაც ინფლაციაში 1.6 პპ-ით წვლილი შეიტანა. აქედან მხოლოდ მზესუმზირის ზეთის წვლილი 0.5 პპ, ხოლო შაქრის 0.2 პპ იყო. ადგილობრივ ბაზარზე ფასების მატება ამ პროდუქტების მსოფლიო ბაზარზე გაძვირებას უკავშირდება. მსოფლიოში მობილობის აღდგენასთან ერთად გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა და, შედეგად, ფასებიც, რამაც საწვავიც გააძვირა. ბენზინის და დიზელის კონტრიბუცია ინფლაციის ზრდაში ჯამურად 0.4 პპ-ს გაუტოლდა. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 13.6 პროცენტით გაძვირდა (1.0 პპ წვლილი ინფლაციაში), ხოლო სიგარეტის წვლილმა ინფლაციაში 0.4 პპ შეადგინა. ამის გარდა, ლარის ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებამ სხვა საქონლის გაძვირებაზეც იმოქმედა. საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 6.6 პროცენტამდე გაიზარდა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს საზოგადოებას წარუდგენს გამოცემას „თვის მიმოხილვა“.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მიმოხილვაში დეტალურად არის გაანალიზებული გასული თვის მაკროეკონომიკური პარამეტრები და ქვეყნის საბანკო და საფინანსო სექტორებში არსებული მდგომარეობა.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ჩვენთვის მთავარია, როდის გამოვა ნიკა მელია და რა ფორმით გამოვა“

რომან გოცირიძე: „გახარია ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას, ვერც სხვებმა უნდა აიცილონ. ყველამ იცის, რომ ყველაფრის უკან ბიძინა ივანიშვილი იდგა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **რომან გოცირიძე** პასუხობს.

– ბატონო რომან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? გუშინ ნიკა მელიას სასამართლო პროცესი გადაიდო. ის კვლავ პატიმრობაში რჩება. უკვე მარტო ხელისუფლება კი არა, ოპოზიციიდან თქვენივე კოლეგები გაკრიტიკებენ. მელიას ევროპელი კოლეგები მოუწოდებენ, რომ მიიღოს მათი გარანტიები. ასე რატომ გაჯიუტდა თქვენი პარტიის თავმჯდომარე?

– სასამართლო პროცესი გადაიდო იმიტომ, რომ ხომ ყველამ კარგად იცის, ეს სასამართლო არ იღებს გადაწყვეტილებებს და ეს ყველაფერი ფარსია. მორიგი შერცხვენისაგან თავი რომ დაეღწია, გადადეს პროცესი. იმიტომ, რომ სასამართლო იღებს იმ გადაწყვეტილებას, რასაც უკარნახებს „ქართული ოცნება“.

– თავად ნიკა მელიას ადვოკატმა მოითხოვა პროცესის გადადება.

– ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს თუ ვინ იყო ინიციატორი. სასამართლოს ხომ შეეძლო არ დაეკმაყოფილებინა ეს შუამდგომლობა და პროცესი არ გადაედო?! გასაგებია, რომ ადვოკატმა მოითხოვა და მოითხოვა იმიტომ, რომ რეალურად გადაწყვეტილება სასამართლოში არ მიიღება. გადაწყვეტილება მიიღება იმ მოლაპარაკების ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობენ პოლიტიკოსები. ანუ ოპოზიცია, ხელისუფლება და ევროპელი კოლეგები. მოსამართლემ იცის, რომ ის ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, ის არის მარიონეტი, ამიტომ, დღეს რომ არსებითი განხილვა დაწყებულიყო საქმის, ეს გამოვიდოდა სასაცილო. ისედაც სულ მალე ნიკა მელია იქნება თავისუფალი, ან ევროკავშირის გირაოთი, რომელსაც ის დაეთანხმა...

– ანუ თანახმაა გირაოთი გამოვიდეს?

– მოდით ასე ვთქვათ, ან ევროკავშირის გირაოთი გამოვა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამნისტიაში არ იქნება ისეთი მუხლები ჩადებული, რომელიც ხელისუფლების მაღალ ჩინოსნებს სამუდამოდ გაათავისუფლებს პასუხისგებისაგან. ეს მოთხოვნა არის სავსებით სამართლიანი, რადგან ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ესარგებლა ამ პროცესით და 19 ივნისის დანაშაული სამუდამოდ დაეხურა.

– ხელისუფლება აცხადებს, რომ პოზიციამ ამ ალტერნატიული კანონპროექტით ჩემიანებად და მისიანებად დაყო დამნაშავეები, ჩვენ კიდევ ყველას ვიწყალებთ თანაბრად, ამნისტია ყველას ეხებაო.

– სწორედ ეს არის, რომ მათ უნდათ ისარგებლონ შექმნილი სიტუაციით და ფაქტობრივად ჩამოწერონ ყველას დანაშაული და ცოდვები, რაც იქნა ჩადენილი ამ პროცესში. რა თქმა უნდა, ამას არ დაეთანხმა სავსებით სამართლიანად ნიკა მელია, ისე, როგორც ამას არ დაეთანხმა ოპოზიცია და ამიტომ გაჩნდა ალტერნატიული კანონპროექტი. ალტერნატიული კანონპროექტის გაჩენამ გამოიწვია ის, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხია და ზოგიერთი სახის დანაშაულზე არ გავრცელდება ამნისტია. ასევე არ გავრცელდება იმ ადამიანებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ფიზიკურ ძალადობაში. ეს ნამდვილად არის უკან დახევა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

– კიდევ რა არის საჭირო?

– საჭიროა ძალიან მკაფიო გარანტიები, რომ არასდროს, ის ადამიანები, რომლებმაც ბრძანება გასცეს, რომლებმაც დააორგანიზეს ეს ყველაფერი, შესაძლოა საერთოდ არ ჩანან ამ პროცესში, მაგალითად, იგივე გიორგი გახარია, რომელიც მთავარი პასუხისმგებელია, როგორც მაშინდელი შს მინისტრი. ის ამ პასუხისმგებლობას ვერასდროს ვერ აიცილებს. ასევე, ვერც დანარჩენებმა უნდა აიცილონ ეს პასუხისმგებლობა და ამის გარანტიებია საჭირო. ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს იყო არაფორმალური ბრძანება და ამის უკან დგას ივანიშვილი. თუმცა ვერც ეს პირები გაექცევიან პასუხისმგებლობას. მე დიდ იმედს ვიქონიებ, რომ ოპოზიციიდან ამ ტიპის კანონპროექტს არავინ დაუჭერს მხარს. ვნახოთ, რა ფორმას მიიღებს ეს კანონპროექტი, თუ ეს ფორმა იქნა მისაღები ნიკა მელიასთვის, როდესაც დარეგისტრირდება კანონპროექტი, თუ ჩათვლის ნიკა მელია საკმარისად ამ ყველაფერს, მაშინ ის დათანხმდება ევროკავშირის გირაოს.

– და თუ არ დათანხმდა, ამით რა შეიცვლება? ხელისუფლება აცხადებს, რომ ნიკა მელია ამნისტიით დატოვებს ციხეს.

– რა თქმა უნდა, აბა ციხეში ძალით ხომ ვერ ჩაიკეტავს საკუთარ თავს. თავისთავად გამოვა და შემდეგ მისი მხრიდან გაკეთდება პოლიტიკური შეფასება ამ ამნისტიის კანონზე.

– ანუ, ნიკა მელია დაეთანხმება თუ არ დაეთანხმება ამნისტიის კანონს, ის ციხეს ყველა შემთხვევაში ტოვებს.

– ბუნებრივია, რა თქმა უნდა, ასე იქნება.

– და თუ მისი მოსაწონი არ იქნება ეს კანონი, თქვენ პარლამენტში არ შეხვალთ?

– ამ შეთანხმებაზე ნაციონალური მოძრაობა ხელს მოაწერს თუ არა, ეს უკვე გადაწყდება ნიკა მელიას გამოსვლის შემდეგ. შევაჯამებთ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ავწონ-დავწონით სიტუაციას და ამის შემდეგ იქნება გადაწყვეტილება მიღებული.

– რა დროში გაიწელება ეს პროცედურული საკითხები ამნისტიის კანონთან დაკავშირებით?

– ეს კანონი პარლამენტში სამი მოსმენით უნდა იყოს მიღებული. რადგან ეს ყველაფერი დაჩქარებული წესით ხდება, ალბათ ამას დასჭირდება ორი კვირა. ჯერ კომიტეტებში მოხდება განხილვები ორივე კანონპროექტის და კარგი იქნება თუ მოხდება ამ ორი კანონპროექტის შეჯერება და კომპრომისული დოკუმენტის მიღება. კომპრომისების გარეშე არ არსებობს პოლიტიკა.

– თქვენ კომპრომისი ახსენეთ და როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან ვისმენთ განცხადებებს, რომ ყველა წავიდა კომპრომისზე, ნაციონალური მოძრაობის გარდა. ახლა შემოვლენ თუ არა პარლამენტში, ისინი ამ პროცესში მაინც დამარცხდნენო. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებებს?

– პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება. ჩვენ ვნახავთ, როგორი დოკუმენტი იქნება მიღებული და როგორი რეაგირება ექნება მასზე როგორც საერთაშორისო საზოგადოებას, ასევე ჩვენს მხარდამჭერებს. ეს პროცესი ჯერ არ არის დამთავრებული.

– სააკაშვილმაც მოგიწოდათ, რომ პარლამენტში შეხვიდეთ...

– ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როდის გამოვა ნიკა მელია და რა ფორმით გამოვა. ნიკა მელიას გამოსვლის შემდეგ სამსჯელო საკითხია ეს.

„ნიკა მელიას გამოსვლამდე ოპოზიცია არ უნდა შესულიყო პარლამენტში“

სოსო ცინცაძე: „არ გამოვრიცხავ, სააკაშვილი ჩამოვიდეს და ციხეში ჩაჯდეს იმ იმედით, რომ ხელისუფლების ცვლილება გარდაუვალია და ნელსონ მანდელასავით ციხიდან ცხენზე ამხედრებული გამოვა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, პარლამენტში შესული ოპოზიცია რას იზამს, რა მოლოდინი გაქვთ, შეძლებენ რამის შეცვლას?

– დროა ოპოზიციამ ტაქტიკის შეცვლაზე იფიქროს. ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ნიკა მელიას გამოსვლამდე არ უნდა შესულიყვნენ. უკვე მელიას მეთაურობით ერთად შესული მთელი ოპოზიცია სულ სხვა რეალობას შექმნიდა პარლამენტში.

„ქართულ ოცნებას“, ცხადია, უმრავლესობა ჰყავს და ყველა მისთვის სასურველ კანონპროექტს გაიტანს, მაგრამ პოლიტიკურად ნიკა მელიას ხელმძღვანელობით შესული ოპოზიცია უკვე სხვა იქნებოდა. ბევრად უფრო საინტერესო გახდებოდა პარლამენტი. პოლიტიკური დებატები, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია პარლამენტში, სხვა დატვირთვას შეიძენდა. არ მახსოვს, როდის მოვისმინე ბოლო პოლიტიკური დებატები პარლამენტში. ჭკვიანი პოლიტიკოსების დიდი დეფიციტია პარლამენტში და საერთოდ ქვეყანაში.

– პოლიტიკურად უფრო დიდი ეფექტი და ძალა ექნებოდა ოპოზიციას?

– რასაკვირველია. ნიკა მელიას მორალური უპირატესობა აქვს „ოცნების“ წინაშე. ამას დამატებული 60-ამდე ოპოზიციონერი, ეს, ცხადია, „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტ დისკომფორტს შეუქმნიდა პარლამენტში.

ბოიკოტს მაშინ მოჰყვება ეფექტი, როდესაც ის ერთსულოვანია. ერთი შტრეიხბრეხერიც რომ გამოჩნდეს და გვახსოვს, რამდენი ასეთი გამოჩნდა, ბოიკოტი თავის ეფექტს კარგავს.

ოპოზიციამ, მაინც ბევრი რამ ვერ გათვალა. ბევრი შეცდომა დაუშვა. გასაგებია, ჩვენ არც ბრიტანელები ვართ და არც გერმანელები, რომ ჯერ ვიფიქროთ და შემდეგ გადავდგათ ნაბიჯი. მექსიკელებზე ამბობენ, ჯერ ისვრიან და მერე ფიქრობენო, ჩვენ კი, მგონი, საერთოდ არ ვფიქრობთ. ოპოზიციის ნაწილმა ნაბიჯი გადადგა და ახლა მის გამართლებაზეა მომართული. ახლა მხოლოდ ეს აღელვებთ.

– „ნაციონალური მოძრაობა“ შევა პარლამენტში?

– გამოჩნდა, როგორ აკლდა ლიდერი „ნაციონალურ მოძრაობას“. არავითარი საწინააღმდეგო არ მაქვს მინაშვილის, მაგრამ მიშელთან მოლაპარაკებებზე მინაშვილს რომ გაუშვებ, ყველაფერი გასაგებია. პარტიამ ბევრი შეცდომა დაუშვა. ამიტომ, არ გამიკვირდება, თუ მისი ელექტორალური შესაძლებლობები ამ ყველაფრის მერე მკვეთრად დაეცეს.

– გამორიცხავთ, მიხეილ სააკაშვილი ამას გრძნობდეს, აცნობიერებდეს და ამიტომაც მართლაც ჩამოვიდეს ადგილობრივი არჩევნების წინ, როგორც დააანონსა?

– არ გამოვრიცხავ. სააკაშვილი პოლიტიკოსია, მას აქვს პოლიტიკური ალღო, ის მომენტს გრძნობს. შეიძლება უკვე არის მზად იმისთვის, რომ ჩამოვიდეს და ციხეში ჩაჯდეს იმ იმედით, რომ ხელისუფლების ცვლილება გარდაუვალია და ნელსონ მანდელასავით ციხიდან ცხენზე ამხედრებული გამოვა. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთ რამეს გეგმავდეს.

– ოპოზიცია შეძლებს ადგილობრივ არჩევნებზე გარდატეხის შეტანას? 43%-ს არის მიბმული ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამიტომ, თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობა ერთიორად იზრდება.

– მე მგონი, ვერა. ძალიან გაუჭირდება. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ არ დაუშვას ვადამდელი არჩევნები. ამიტომ, ალბათ „ქართული ოცნება“ 45%-ს აცდება თუ 50% არ მიიღო. მაგრამ ერთი რამ არის მნიშვნელოვანი, როდესაც საკითხი ასე დგება: ან ყველაფერი ან არაფერი, აქ უკვე შეიძლება მართლაც ყველაფერი წააგო. ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ უნდა გავიაროთ ერთი და იგივე. ეს აზროვნება თუ არ დასრულდა, პირველ რიგში პოლიტიკოსების თავებში, არაფერი გამოვა. კი მივისწრაფვით ევროპისკენ, მაგრამ არაფერს ვაკეთებთ, რომ მართლაც გავხდეთ ევროპელები პირველ რიგში ჩვენი აზროვნებით.

– ოპოზიცია შეძლებს თბილისის მერობის ერთიან კანდიდატზე შეთანხმებას?

– გამორიცხულია! როგორც მინიმუმ, ათი კანდიდატი იქნება. ათიდან ერთს არ ექნება რეალური შანსი, მაგრამ ამ ნეოფიტებს, რომლებიც ვერასდროს გახდებიან პოლიტიკოსები, მიაჩნიათ, რომ ისიც დიდი საქმეა, შვილიშვილებს რომ მოუყვნენ, თბილისის მერობის კანდიდატი ვიყავიო. ისე, ხომ იცით, თბილისის პირველი მერი სომეხი იყო. სხვათა შორის, ძალიან კარგი მერი იყო. ხუდადოვი თავისი ტყით, სწორედ მისი გაშენებულია.

რთული პოლიტიკური რეალობის წინაშე დგას დღევანდელი ოპოზიცია. ეს ადგილობრივი არჩევნები ბევრი მიმართულებით შეიძლება პარამეტრი გახდეს. ძალიან ბევრ რამეს გაარკვევს როგორც ოპოზიციაში, ისე ხელისუფლებაში.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელად ერეკლე ღვინიანიძე დაინიშნა

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ ხელმძღვანელი წარადგინა. უწყების თავმჯდომარის თანამდებობა ერეკლე ღვინიანიძემ დაიკავა.

უწყების ინფორმაციით, იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის განცხადებით, ერეკლე ღვინიანიძე სააღსრულებო სისტემაში გამოცდილი და პროფესიონალი კადრია, რომელიც აღსრულებას უფრო ეფექტურს და სოციალურ მიდგომაზე მეტად ადაპტირებულს გახდის.

მინისტრის თქმით, ახალ თავმჯდომარეს აქვს შესაბამისი განათლება და ყველა საჭირო უნარი, რომ სწორად წარმართოს სააღსრულებო სისტემაში დაგეგმილი ახალი რეფორმა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა სასამართლოს გადაწყვეტილებათა ეფექტურ აღსრულებას.

„ბიუროს ახალი თავმჯდომარე სააღსრულებო სისტემაში 20 წელია, მუშაობს. ერეკლე ღვინიანიძე 2002-2012 წლებში სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა, 2012 წლიდან კი, კერძო აღმასრულებელი იყო.

ახალი ხელმძღვანელი მუშაობას დღეიდან შეუდგა“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

გრიგოლ ლილუაშვილი: „სიურპრიზებს არ ველოდები“

– სიურპრიზებს არ ველოდები.

ასე უპასუხა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, გრიგოლ ლილუაშვილმა, ჟურნალისტების კითხვას, ხომ არ აპირებს ის თანამდებობის დატოვებას.

მან აღნიშნა, რომ პარლამენტში მისმა გამოსვლამ მოწონება დაიმსახურა.

– არაფერს ვაპირებ. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში, სადაც ანგარიშვალდებული ვარ და ჩემი საქმიანობის ანგარიშს წარვუდგენ ხოლმე, მოწონება და შექება დავიმსახურეთ. ამიტომ, სიურპრიზებს არ ველოდები, – განაცხადა ლილუაშვილმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ სამომავლო გეგმები სწორედ იმ საკითხებს ეხება, რაზეც დღეს ისაუბრა.

– ჩემი მომავალი გეგმები უკავშირდება ზუსტად იმ საკითხებს, რასაც პარლამენტის წიაღში ვიხილავდით. არის დახურული და ღია თემები, თუმცა, ამ დახურულ სხდომაზე შევძელით, მაქსიმალურად ყველა ინფორმაციაზე წვდომა ჰქონოდათ ჩვენს დეპუტატებს, – განაცხადა ლილუაშვილმა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ოპოზიციაში ყველას უნდა მოეთხოვა ვადამდელი არჩევნები“

შოთა მალაშხია: „ეს პარლამენტი არანაირ რეფორმას არ გაატარებს. მანდ მიღებული საარჩევნო ცვლილებები მკვდარზე „ვენოკი“ იქნება“

მარიამ მჭედლიშვილი

ხელისუფლებასა და ოპოზიციის ნაწილს შორის ევროკავშირის მედიაციის მონაწილეობით ხელმოწერილი შეთანხმება და ამის საფუძველზე ოპოზიციონერების პარლამენტში შესვლა ისევ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საზოგადოებაში. ამ თემაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს **შოთა მალაშხიას**.

– თქვენი კოლეგების ნაწილმა დაამთავრა ბოიკოტი და დაიწყო საქმიანობა პარლამენტში. ახლად შესულები ყველაფერში ჯერ არ მონაწილეობენ. ისინი პრიორიტეტად ასახელებენ შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებს. თქვენ რას იტყვით ამაზე?

– ვინ რას გააკეთებს და რა გზას აირჩევს, პირადად მისი გადასაწყვეტია. მთავარია, რას ფიქრობს ამაზე ხალხი. საზოგადოება თავის დამოკიდებულებას არჩევნებზე გამოხატავს.

– გინდათ თქვათ, რომ ამომრჩეველს ოპოზიციის პარლამენტში შესვლა არ მოეწონა და პარლამენტში შესულ ოპოზიციას არჩევნებზე მხარს არ დაუჭერს?

– რასაკვირველია. ხომ ვნახეთ, რა მოუვიდა ელისაშვილის რეპუტაციას, როცა ის პარლამენტში შევიდა! ელისაშვილს ხომ ის ხალხიც ამუნათებდა, რომელმაც მოგვიანებით მისი ნაბიჯი გაიმეორა? პარლამენტში შესული დანარჩენი ოპოზიციაც ელისაშვილი გახდა.

– დანარჩენი ოპოზიცია შეთანხმების შემდეგ, გარკვეული პირობებით წავიდა კომპრომისზე.

– გავიაზროთ, რეალურად როგორ არის საქმე. საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა. თუ ეს ოპოზიცია გულმავიწყია, ხალხს ეს შესანიშნავად ახსოვს. არჩევნების შემდეგ მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა, „ქართული ოცნების“ გარდა, აღიარა, რომ არჩევნები ფალსიფიცირებულია. ბარიერგადალახული ოპოზიცია ამის გამო არ შედიოდა პარლამენტში და მოითხოვდა ვადამდელ არჩევნებს. შეიქმნა ნამდვილი კრიზისი. ვიღაც რომ პარლამენტის სკამზე წამოჯდა, ამის შემდეგ კრიზისი დამთავრდა?! არა. თუ ელისაშვილს ლანძღავდნენ, ესენი რატომ არიან ქების ღირსი? კრიზისი არ დამთავრებულა, ამათ კი მოირგეს დეპუტატობა.

– პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულების საკითხი რომ გვარდება?

– ესეც იყო ოპოზიციის მოთხოვნა და ამისთვისაც უნდა მიგვეღწია. საერთო სურათს შევხედოთ. არჩევნები გაყალბდა, ოპოზიცია გარეთ დარჩა, ნახევრად შევსებულ პარლამენტში დაიწყო უმრავლესობის დაშლა. გახარიას თანაგუნდელი 6 დეპუტატი გამოეყო უმრავლესობას. კალაძის ხალხიც აპირებდა გამოსვლას.

– ამას წარსულ დროში ამბობთ. აღარ აპირებს?

– არ ვიცი. რას იზამენ კალაძის თანამოაზრეები. ამას იმიტომ ვყვები, რომ ნათლად დავინახოთ კრიზისული მდგომარეობა. კრიზისის მოგვარებაზე საუბარიც კი არასერიოზულია. კრიზისი გაგრძელდა. კრიზისი გააგრძელეს იმ ოპოზიციონერებმა, რომლებიც შევიდნენ პარლამენტში. მათ ეიფორია შექმნეს და ხელი შეუშალეს ვადამდელ არჩევნებს.

– ხელმოწერილი შეთანხმება აჩენს 2022 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის შანსს.

– ოპოზიცია ასე არ უნდა მოქცეულიყო. ჩვენ ყველას უნდა გვებრძოლა და ვადამდელ არჩევნებს მივაღწევდით წელსვე, შემოდგომაზე. ახლა რა გამოვიდა? ამ ოპოზიციამ გაუგრძელა ვადა „ქართულ ოცნებას“? ახალი არჩევნები ხომ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო! ჩემთვის ეს რჩება მოთხოვნად. ის, რომ „ოცნებამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე შეიძლება მიიღოს 43%-ზე ნაკლები და შემდეგ შეიძლება დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნა, ჩვენ, დანარჩენებს, არ გვინდა. ხალხი მოითხოვს სამართლიანად არჩეულ პარლამენტს, რეფორმებს და ცხოვრების გაუმჯობესებას. ეს საცოდავი პარლამენტი რისი მაქნისია?!

– ამას უყურებს საერთაშორისო საზოგადოება და იქნებ გატარდეს რომელიმე რეფორმა?

– სასამართლო რეფორმას „ოცნების“ პირობებში საერთოდ გამოვრიცხავ. ეკონომიკური მდგომარეობა უფრო დამძიმდება. ესენი ფულის შოვნაზე არიან ორიენტირებული და ამას არ მოიშლიან. ბოლო ხანს პოლიტიკაში დღის წესრიგი შექმნა ნიკა მელიამ. ოპოზიციის მიერ გამოცხადებულმა ბოიკოტმაც მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება. ნიკა მელია ახლაც განსაზღვრავს ბევრ რამეს.

– ნაციონალური მოძრაობაც (უმრავლესობა) თუ შევა პარლამენტში?

– არ ვიცი, შევლენ თუ არა ნაციონალური მოძრაობის წევრები პარლამენტში. ეს თუ გააკეთეს, თავიანთი ამომრჩევლის ხმებს დაკარგავენ. დანარჩენი ოპოზიცია რომ ელისაშვილს ლანძღავდა და შემდეგ მას მიუჯდა პარლამენტში, ესენიც ისე იქნებიან.

– მიხეილ სააკაშვილის აზრით, ნაცმოძრაობა ნიკა მელიას გათავისუფლების შემდეგ უნდა შევიდეს პარლამენტში.

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ამბობს ამას და ვინ იკავებს საკუთარი პარტიის გამანადგურებელ პოზიციას?! იმის მაგივრად, რომ ჩვენ ერთად დაგვეჩქარებინა ვადამდელი არჩევნები, ხდება მისი გადადება და „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივება.

– იმასაც გამორიცხავთ, რომ პარლამენტმა უკეთესობისკენ შეცვალოს საარჩევნო კანონმდებლობა?

– ეს პარლამენტი არანაირ რეფორმას არ გაატარებს. მანდ მიღებული საარჩევნო ცვლილებები მკვდარზე „ვენოკი“ იქნება. თუ საარჩევნო ცვლილებები უნდოდათ, რატომ არავინ დააყენა ცესკოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხი?! ხომ აღიარებდნენ, რომ არჩევნების გაყალბებაში მონაწილეობდა თამარ ჟვანია? ელისაშვილი ამდენი ხანია პარლამენტშია და ეს საკითხი არ წამოუწევია. დანარჩენებიც მასავით მოიქცევიან.

„საპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტში აქამდეც უნდა შესულიყო“

მამუკა ტუსკაძე: „ხელისუფლებაში ჭკვიან თავებს მოუვიდათ აზრი, დათანხმებოდნენ ოპოზიციას სასამართლო რეფორმის გატარებაზე“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

– როგორ გრძნობს თავს პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიცია? მათ შორის, თქვენი პარტიაც მოიაზრება, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც პოლიტიკურ ბაზარზე შემოვიდა, არჩევნებში გარკვეული ხმები მიიღო, ოღონდ ბარიერი ვერ გადალახა. გარიყული ხომ არ აღმოჩნდით პოლიტიკური სივრციდან მას შემდეგ, რაც ხელისუფლებასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის შეთანხმება დაიდო?

– ნამდვილად გარიყულად ვგრძნობთ თავს, რადგან შეიქმნა სიტუაცია, თითქოს პოლიტიკურ ველზე „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის გარდა, პოლიტიკური ძალა არ არსებობს. ამავდროულად იმასაც აღვნიშნავ, რომ პარტიებმა, რომლებმაც ბარიერი გადალახეს, უპირატესი უფლება აქვთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, ბარიერს მიახლოებულ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ასევე აქტიური სამოქალაქო ცხოვრებით ცხოვრობენ, ყურადღება არ უნდა მიქცეოდა როგორც ხელისუფლების, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან.

– ყურადღებაში რას გულისხმობთ? თქვენც გინდოდათ ხელისმოწერა შეთანხმებაზე, რადგან თქვენი პრეტენზიები გქონდათ?

– ასე ცალსახად ვერ ვიტყვი, რომ დოკუმენტზე ხელის მოწერა გვინდოდა, ჩვენ გვინდოდა დაფიქსირებულიყო არასაპარლამენტო ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც 5 პარტიისაგან შედგება. არასაპარლამენტო ოპოზიციას 130 ათასზე მეტი ხმა ჰქონდა მოგროვებული. კანონში ცვლილება რომ მომხდარიყო და ბლოკების შექმნა შეგვძლებოდა, ხუთი პარტიისაგან შემდგარი ბლოკით საქართველოს პარლამენტში ჩვენ მინიმუმ 2 დეპუტატს დავსვამდით.

ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთპარტიულ გაერთიანებას პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა უნდა მიეღო. ჩვენს აზრს გაითვალისწინებდნენ თუ არა, სხვა საქმეა, მაგრამ ჩვენი აზრის გამოთქმა შეგვეძლებოდა.

– 130 ათასამდე ამომრჩევლის ხმა დაკარგულია?

– 130 ათასამდე ამომრჩევლის ხმა იმ პარტიების მიერ მიღებული ხმების საერთო ჯამია, ვინც ბარიერი ვერ გადალახა. მათ შორის, 30 ათასამდე ხმა ჩვენი ბლოკისაა. ჩვენ ბლოკში შემავალმა პარტიებმა ცალ-ცალკე ბარიერი ვერ გადავლახეთ, მაგრამ ჯამში ბარიერის გადალახვისთვის საჭირო ხმებზე მეტი გვაქვს. ამიტომ არასაპარლამენტო ოპოზიციის სახელითაც და ჩვენი ბლოკის სახელითაც პროცესში მონაწილეობა უნდა მიგვეღო.

ჩვენ შესაბამის ორგანიზაციებს მივმართეთ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ჩვენთვის არ ეცალათ, რადგან გასვრილ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები უფრო ადვილი აღმოჩნდა. მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც, ვიდრე ახალ და სუფთა პოლიტიკურ ძალებთან. ამის გამო დაიჩაგრა არა მხოლოდ ის 5 პოლიტიკური პარტია, რომელსაც მე წარმოვადგენ, არამედ სხვა პოლიტიკური ძალებიც დარჩნენ ამ მოლაპარაკების მიღმა. აღმოჩნდა, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ პარლამენტში შესვლაზე იმართებოდა.

– პარლამენტში შესვლა-არშესვლა გახდა ქვეყნის პრობლემა.

– ოპოზიციის პარლამენტში შესვლა ერთი საკითხია, მაგრამ იქ ძალიან ბევრი სხვა საკითხიც იყო. კერძოდ, საარჩევნო რეფორმა, მართლმსაჯულების რეფორმა და სხვა რეფორმები, რაზეც ჩვენს პარტიას, ბლოკსა და, საერთოდ, პარლამენტს გარეთ დარჩენილ ძალებს თავისი შეხედულებები აქვთ.

– მმართველ პარტიას შეთანხმებამდე ჰქონდა ინიცირებული საარჩევნო რეფორმის კანონპროექტი, არ შეგიძლიათ მონაწილეობა?

– ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის დროს პროცესში მონაწილეობა არ მიგვაღებინეს, მაგრამ საქართველოს პარლამენტში, სააღდგომო არდადეგების შემდეგ განხილვები რომ გაგრძელდება, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას. ეს საკითხი შეთანხმებულია საპარლამენტო ოპოზიციის იმ ნაწილთან, რომელიც რადიკალი არ არის.

ვგულისხმობ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერებთან ალეკო ელისაშვილსა და ლევან იოსელიანთან. მათთან და ანრი ოხანაშვილთან მქონდა შეხვედრა. დიდი იმედი მაქვს, ლევანი და ანრი თავის სიტყვას არ გადავლენ. ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა და ის ხალხი, რომელიც არასაპარლამენტო ოპოზიციის ველზეა, საარჩევნო კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებს. იმედი მაქვს, გათვალისწინებული იქნება ჩვენი ამომრჩევლის შეხედულებები.

– როგორ არ შეეცადნენ ოპოზიციის გულის მოგებას (მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორები), რომელიც პარლამენტში არ შედიოდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ დაითანხმეს. იგივე ნაცმოძრაობა შეთანხმებაზე ჯერ ხელს არ აწერს. მელიაც თავს იფასებს. თქვენ ციხე რა არის, იცით. მელია ახალ-ახალ პრეტენზიებს აყენებს – ახლა ამბობს, ამნისტიის პროექტი გაიწვიეთ, ევროპამ გადამიხადოს გირაო და გამოვალო. ციხე კარგია და მელია ციხეში თავს კარგად გრძნობს თუ რა ხდება?

– ახლა მელიასთვის ციხე მართლა კარგია.

– რატომ?

– მელია უნდა ყოფილიყო სააკაშვილის ციხეში და ასე ლაღად ამდენს ვეღარ ილაპარაკებდა. აბა, მელია სააკაშვილის ციხეში ყოფილიყო და რაც მაშინდელმა პოლიტპატიმრებმა გამოიარეს, ის გამოევლოთ, ევროკავშირს კი არ მოსთხოვდა გირაოს და ამნისტიის პროექტის გაწვევას. პირიქით, მამამისს ყველაფერს გააყიდვინებდა და გირაოს გადახდას შეეცდებოდა, ოღონდ ციხისთვის თავი დაეღწია. სააკაშვილის დროინდელი სადისტური რეჟიმის ციხეებში რომ ყოფილიყვნენ, დღეს სააკაშვილის პოლიტიკური გუნდის შთამომავლები სხვაგვარად ილაპარაკებდნენ. ჩვენ გვეგონა, მელია იქნებოდა პრაგმატულად მოაზროვნე, მაგრამ ყველაფერს ცხელი წყალი გადაასხა.

– რას გულისხმობთ?

– იმედი, რომ შესაძლებელი იყო ახალ პოლიტიკურ ძალებს ნაცმოძრაობასთან გვქონოდა კომუნიკაცია, მელიას ბოლოდროინდელმა განცხადებებმა ცხელი წყალი გადაასხა. მელიას სააკაშვილის დროინდელი ციხე რომ ენახა, ისე აღარ იჭიკჭიკებდა, როგორც დღეს ჭიკჭიკებს.

– როგორ ფიქრობთ, ხალხს სურვილი აქვს, რომ ნაცმოძრაობა პარლამენტში იხილოს?

– ძნელი სათქმელია, მაგრამ ნაცების პარლამენტში ხილვის სურვილი რომ არ ჰქონოდათ, ნახევარ მილიონ ხმას ვერ მიიღებდნენ. ალბათ, არის ხალხი, რომელსაც უნდა, ეს პარტია პარლამენტში შევიდეს. მე სულ ვემიჯნებოდი ბოიკოტს. საპარლამენტო ოპოზიცია პარლამენტში აქამდეც უნდა შესულიყო. პარლამენტში გუშინ შევიდოდნენ თუ 1 ოქტომბერს, ამაში განსაკუთრებული არაფერია, იგივე შედეგებია. უბრალოდ, მელია ციხეში ზის. დანარჩენი ცვლილება არაფერია.

– ცვლილება არ არის ის, რომ ევროპელების თავდებობით უნდა გასწორდეს ის ხარვეზები, რაც იყო საარჩევნო კოდექსში?

– რამდენიმე თვის წინ, როცა ელისაშვილი და იოსელიანი პარლამენტში შევიდნენ, მთელმა რადიკალურმა პოლიტიკურმა სპექტრმა მათ დასცინა და ქარცეცხლში გაატარა. დღეს ელისაშვილი და იოსელიანი ყველაზე მეტად მართლები აღმოჩნდნენ, ეს ნაბიჯი რომ გადადგეს. სხვათა შორის, მათ „ქართულმა ოცნებამ“ ევროპელი დიპლომატების გარეშე მისცა გარანტია საარჩევნო კოდექსის რეფორმაზე.

საარჩევნო რეფორმა ელისაშვილისა და იოსელიანის ინიციატივით დაიწყო და არა შარლ მიშელის ჩამოსვლით. უბრალოდ, შარლ მიშელმა ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა და 6-7 პარტია პარლამენტში შეიყვანა. ამიტომ შარლ მიშელის პროექტი დაერქვა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების, იოსელიანისა და ელისაშვილის გადაწყვეტილებას. ეს იყო სტიმული სხვა პარტიებისთვის.

– მიშელის დოკუმენტში კიდევ სასამართლო რეფორმაზეა საუბარი.

– სასამართლო რეფორმა მრავალ კომპონენტს მოიცავს, მათ შორის, მართლმსაჯულების, პროკურატურის შს სამინისტროს, სააღმსრულებლო ბიუროს, სამოქალაქო დავების ბიუროს რეფორმას. დღევანდელ სასამართლოს მართლა სჭირდება რეფორმა. ხელისუფლებაში ჭკვიან თავებს მოუვიდათ აზრი, დათანხმებოდნენ ოპოზიციას სასამართლო ხელისუფლებაში რეფორმის გატარებაზე.

– სასამართლო რეფორმა ევროპელების შემოთავაზება არ იყო?

– არა, ეს იყო ხელისუფლების ნება. ხელისუფლების კეთილი ნება რომ არ იყოს, ასე არ გადაწყდებოდა. ხელისუფლების კეთილი ნებაა, გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს ოპოზიციური ძალების აზრი. აქედან გამომდინარე, სასამართლო რეფორმაც ჩატარდება.

ქონების გადამალვისთვის 3 კომპანიის ხელმძღვანელის დევნა დაიწყო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოჩვენებითი გარიგებით ქონების გადამალვის სამ ფაქტზე, სამი კომპანიის ხელმძღვანელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყეს.

ამის შესახებ უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, საგადასახადო შემოწმების საფუძველზე თანხის დარიცხვის შემდგომ, მოსალოდნელი ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით, ფიქტიურად დაარეგისტრირეს ახალი საწარმოები ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებზე. აღნიშნულ საწარმოებზე მოჩვენებითი გარიგებით განახორციელეს მათზე რიცხული მატერიალური ფასეულობების გადაწერა, რის საფუძველზეც საგადასახადო ორგანოები ვეღარ ახდენდნენ ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული გადასახადებისა და ჯარიმების იძულების წესით ამოღებას.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2051-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

თემურ ხაჩიშვილი: „ლაშა ნაცვლიშვილმა ჩემი მკვლელობა დაგეგმა“

მხედრიონის ყოფილ ხელმძღვანელ თემურ ხაჩიშვილზე თავდასხმა სცადეს.

„ტვ პირველისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ხაჩიშვილი სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ მისი გატაცებისა და შემდეგ უკვე ლიკვიდაციის ორგანიზატორი „ქართული ოცნების“ იდეოლოგი ლაშა ნაცვლიშვილია.

შსს-ს ყოფილი მინისტრი და მხედრიონის ყოფილი ხელმძღვანელი „პირველებთან“ ამბობს, რომ მას 12 პირი დაესხა თავს. ხაჩიშვილი აღნიშნავს, რომ გამტაცებლების იდენტიფიცირება შეძლო. მისივე თქმით, თავდამსხმელებს შორის უშიშროების თანამშრომლებიც იყვნენ და ამის შესახებ გამოძიებას ინფორმაცია უკვე მიაწოდა.

– ეს მათი მხრიდან ჩატარებული მკვლელობის მცდელობაა, რომელიც მათ არ გამოუვიდათ, ახლა ამას მონათლავენ წერილის მიტანად, დეპეშის მიტანად და სხვა რამედ. ამ ბანდის უკან, სამწუხაროდ, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი, ლაშა ნაცვლიშვილი, დგას. მას აქვს შექმნილი ბანდები და, სამწუხაროდ, იყენებს ხელისუფლების სახელს. ტრაგედიაა, როდესაც მკვლელები დათარეშობენ, – ამბობს ხაჩიშვილი.

თავდასხმის მცდელობა 28 აპრილს ვაკეში, ხაჩიშვილის მეგობრის ოფისში მოხდა. თემურ ხაჩიშვილი ამბობს, რომ თავდამსხმელებს შორის 30 წლის წინ მოკლული მხედრიონელის, ზაზა ვეფხვაძის ვაჟი, ალექსანდრე ვეფხვაძე ამოიცნო.

– 10-12 უცნობი ადამიანი ოფისში მოვიდა. დააკაკუნა ერთმა, იკითხა, თემური შენ ხარ თუ არაო და შეჭრა დააპირეს. არ შეუშვეს ესენი, ჩაკეტეს კარი, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში შესვლის და შეჭრის მცდელობა იყო.

90-იან წლებში გარდაცვლილი ერთ-ერთი მხედრიონელის, ვეფხვაძის შვილი იყო. უნდა გაარკვიოს გამოძიებამ, რა მიზნით იყო ეს ხალხი მისული, რა იყო მოტივი, ვისი დავალებით მოქმედებდნენ, ამაზე უნდა გასცეს გამოძიებამ პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვბრუნდებით 90-იან წლებში, – განაცხადა ხაჩიშვილის ადვოკატმა დიმიტრი მჭედლიშვილმა.

ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებულები პატიმრობაში დატოვეს

ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმაში ბრალდებულების საქმის მოსამართლემ, გიორგი კერატიშვილმა ადვოკატების შუამდგომლობა დაკავებულების თავდებობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა.

როგორც მოსამართლემ განმარტა, როცა აღკვეთის ღონისძიება იხილება, სასამართლო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით აფასებს ფაქტობრივ საფუძვლებს.

კერატიშვილის თქმით, დაცვის მხრიდან რაიმე წონადი არგუმენტი არ მოუსმენია, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით გააბათილებდა ქმედებების შესაძლო ჩადენას. მოსამართლის განმარტებით, თავდებში მყოფი პირები სანდო ურთიერთობაში უნდა იყვნენ ბრალდებულებთან და უნდა იცნობდნენ მათ, ამასთან, პირადი თავდები პირი აბსტრაქტული განცხადებებით არ უნდა იყოს შემოფარგლული სასამართლოს წინაშე.

კერატიშვილის თქმით, დაცვის მხრიდან ვერ ერთმა მათგანმა სასამართლოს ვერ დაუსაბუთა, რა ქმედებების განხორციელებით აპირებს ბრალდებულთა სათანადო ქცევის გაკონტროლებას. მოსამართლემ მიიჩნია, რომ ბრალდებულთა მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების მაღალი რისკი არსებობს.

29 აპრილის სასამართლო პროცესზე, სადაც მხარეებმა შესავალი სიტყვები წარმოთქვეს, დაცვის მხარემ დაკავებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის თავდებობით შეცვლის შუამდგომლობა დააყენა.

ადვოკატებმა სასამართლოში 2.000 ადამიანის ელექტრონული ხელმოწერა წარადგინეს. აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმა ბრალდების მხარე. მოსამართლემ თავდებში მყოფ პირებს კითხვით მიმართა, პირადად იცნობდნენ თუ არა ბრალდებულებს, ან მათი ქცევის გაკონტროლებას როგორ აპირებდნენ.

სამართალდამცავებმა ვახო სანაიას მიმართ, მისი პროფესიული საქმიანობის გამო განხორციელებული დევნისა და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით მუქარის ფაქტზე 3 პირი დაიკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გიორგი რურუამ ავტომატის ჯერი ჩემს ძმებს ჩემ თვალწინ გადაატარა“

რას ითხოვს თამარ თორაძე

სალომე ზურაბიშვილის მიერ გიორგი რურუას შეწყალებას ეხმაურება აშშ-ის მოქალაქე თამარ თორა-ძე და მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო.

მას 90-იან წლებში მთელი ოჯახი ერთ დღეს ამოუხოცეს. თამარ თორაძე საკუთარი ძმების, იმედო და კახა თორაძეების, დაცხრილვაში ბრალს გიორგი რურუას სდებს და იხსენებს, როგორ ჩახედა თვა-ლებში და იცნო რურუა, რომელმაც ავტომატის ჯერი მის თვალწინ გადაატარა მის ძმებს.

– როცა პირველად გამოვიდა ტელევიზიით სალომე ზურაბიშვილი და თქვა, რომ უნდა შეეწყალები-ნა ჟორიკა რურუა, ვერ დავიჯერე. რაღაც შეცდომა მეგონა. ახლაც გაოგნებული ვარ. წარმოუდგენე-ლია! მკვლელი გამოუშვეს გარეთ, რომელმაც ოჯახი დამიხოცა თვალწინ. სალომე ზურაბიშვილი უნდა გადადგეს, – უთხრა თამარ თორაძემ „ამბებს“.

– საქმის გამოძიების პროცესში თანადგომა გამოგიცხადათ გფბ-მ. სიახლეები ხომ არ არის?

– გფბ შუამავალია. ის იცავს ჩემს ინტერესებს, რათა გამოძიებამ ისე ჩაიაროს, რომ მე თმის ღერი არ ჩა-მომვარდეს. მთავარია, რომ საქართველოში დაიძრას საქმის გამოძიების პროცესი.

– როგორ აპირებთ ბრძოლას?

– ჯერ ველოდები, რას იზამს საქართველოს ხელისუფლება, შემდეგ ვაპირებ ამერიკის სასამართლოში ბრძოლას „ზარალასთან“ (გიორგი რამიშვილი, „სილქ როუდ ჯგუფის“ დამფუძნებელი) და ეს პრო-ცესშია. მივმართავ პროკურატურას, გამოფხიზლდნენ! მესმის, რომ „ზარალას“ ძმაკაცები არიან იქ, მაგრამ უკვე ამოვიდა ყელში ყველაფერი. მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, საქმე გამოიძიონ. ასევე, მივმართავ საზოგადოებას, გაუფრთხილდნენ თავს, ქალაქში მკვლელი დადის!

„აბასთუმანში დავით მელიქიძის მკვლელობაში ბრალდებულს მისთვის საქმის წართმევა სურდა“

აბასთუმანში, კურცხანას ხეობაში შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოებზე მოკლული დავით მელიქიძის კომპანია „დევუდის“ დირექტორი ლეა დედიაშვილი აცხადებს, რომ დაპირისპირება მკვლელობაში ბრალდებულის მიზეზით დაიწყო, რადგან იგი დავით მელიქიძის საქმიდან ჩამოშორებას გეგმავდა.

„სამხრეთის კარიბჭის“ ცნობით, შპს „დევუდი“, რომლის 30%-ს დავით მელიქიძე, 70%-ს კი ლეა დედიაშვილი ფლობენ, აბასთუმნის შემოვლითი გზის მშენებარე კომპანიის „ჯეუ გრუპის“ ქვეკონტრაქტორია. როგორც ლეა დედიაშვილი ამბობს, „ჯეუ გრუპთან“ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, დავით მელიქიძემ თავად შესთავაზა ბრალდებულის კომპანიას, ერთობლივად ემუშავათ.

– „ჯეუ გრუპს“ მხოლოდ ჩვენთან უნდოდა თანამშრომლობა, სხვა არავისთან. პირველივე დღიდან ჩვენმა კომპანიამ დაიწყო მუშაობა. ჩვენ თვითონაც შეგვეძლო გაგვეკეთებინა ყველაფერი, მაგრამ დათომ თქვა, რომ რადგან ადგილობრივები იყვნენ, დავასაქმოთო, ის ძალიან სულგრძელი იყო. ამიტომ რაღაც ნაწილი მივეცით, რომ ემუშავათ, ნაწილზე ჩვენი კომპანია უნდა შესულიყო, – ამბობს ლეა დედიაშვილი.

მისივე თქმით, გავრცელებული ინფორმაცია, რომ დავით მელიქიძემ ბრალდებულის კომპანიის თანამშრომლებს ხელფასი არ გადაუხადა, სიმართლეს არ შეესაბამება. ის ამბობს, რომ ბრალდებულს დავით მელიქიძისთვის საქმის წართმევა სურდა.

მკვლელობის დღეს დავით მელიქიძეს იარაღი არ ჰქონდა.

– მაგ დღესაც ერთად ავედით, ხელოსნები უნდა აგვეყვანა აბასთუმანში, მერე მე მოვბრუნდი და დათო დარჩა. ჩემი წამოსვლიდან დაახლოებით 15 წუთში მოხდა ეს ამბავი, როგორც იქ მყოფებმა მითხრეს, ტყიდან ჩამოცვენილან, დაუწყიათ ჩხუბი და სროლა. დათოს საერთოდ იარაღი არ ჰქონდა, – იხსენებს ლეა.

მკვლელობაში ბრალდებული და კიდევ ორი პირი მიმალვაში იმყოფებიან, პოლიცია მათ ისევ ეძებს.

თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ბრალდებული 2 პირი დამნაშავედ ცნეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, უკრაინის მოქალაქე ნ.კ. და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ უკრაინის მოქალაქე ნ.კ.-მ ჩეხეთში რეგისტრირებული კომპანიის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლება და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლისთვის, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს გამოყენებით, კანონიერი სახის მიცემა განიზრახა.

წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ნ.კ.-მ, 2019 წლის მაისში, საქართველოში დააფუძნა კომპანია, რომელსაც საბანკო ანგარიშები საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში გაუხსნა და „ინტერნეტ ბანკინგის“ მომხმარებლად დაარეგისტრირა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ ჩეხური კომპანიის ელექტრონულ ფოსტაში ჰაკერული შეღწევის და საწარმოს საქმიანობის შესწავლის შემდეგ, აღმასრულებელი დირექტორის სახელით, ამავე კომპანიის ფინანსურ დირექტორს ცრუ შეტყობინება გაეგზავნა თითქოსდა საინვესტიციო პროექტის განხორციელების მიზნობრიობით თანხის საქართველოში გადარიცხვის მოთხოვნით. შედეგად, 2019 წლის 17 სექტემბერს, ჩეხეთში რეგისტრირებულ კომპანიას 18.219.95 ევრო (59.577.41 ლარი) მოტყუებით გადმოარიცხინეს საქართველოში, ნ.კ.-ს მიერ დაფუძნებული საწარმოს საბანკო ანგარიშზე.

აღნიშნული ქმედებით, დაზარალებულს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიადგა.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხის წარმოშობის წყაროს და ნამდვილი ბუნების შენიღბვის, ასევე მისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხის ძირითადი ნაწილი, თითქოსდა ელექტრომაგნიტური ძრავის სათადარიგო ნაწილების შეძენის დანიშნულებით, გადარიცხული იქნა ჰონგ კონგში დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა მიერ კონტროლირებად საბანკო ანგარიშზე. რეალურად, არანაირი საქონლის შეძენას და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას ადგილი არ ჰქონია და ზემოაღნიშნული საბანკო გადარიცხვა მიზნად ისახავდა ფიქტიური დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებული საბანკო ტრანზაქციის გზით, დანაშაულებრივად მიღებული შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემას.

ამ გზით, ნ.კ.-მ მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მეშვეობით 17 900 ევროს (58 531.21 ლარი) ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინა.

2021 წლის 10 თებერვალს, უკრაინის მოქალაქე ნ.კ.-ს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (დიდი ოდენობით სხვისი ნივთის თაღლითურად დაუფლება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), ასევე 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, ჩადენილი ჯგუფურად). ხოლო ნ.კ.-ს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინა (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება). ნ.კ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნ.კ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მის მიერ დაფუძნებულ საწარმოს ლიკვიდაცია განუსაზღვრა.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.404 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, ბოლო 24 საათის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 1.404 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 96 პირი დაჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 1 126 ფიზიკური პირი დაჯარიმდა, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევის 182 ფაქტი გამოვლინდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით, ხოლო პირბადის ტარების წესის განმეორებით დარღვევა ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 40 ლარით დაჯარიმებას.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

ბულგარეთმა რუსი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა

ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

„ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთი რუსი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავ ორგანოებს სთხოვა, რომ სრულყოფილი დახმარება აღმოუჩინონ ბულგარეთის ხელისუფლებას იარაღის საწყობებში მომხდარი აფეთქებების, ხანძრის დროს მტკიცებულებების განადგურებისა და ბულგარეთის სამი მოქალაქის მოწამვლის საქმეების გამოძიებაში, დამნაშავეების დასადგენად და მათი პასუხისგებაში მისაცემად“ – ნათქვამია ბულგარეთის საგარეო სამინისტროს განცხადებაში.

საპასუხოდ რუსეთი ბულგარეთის მიერ რუსი დიპლომატის გაძევებაზე რეაგირებას მოახდენს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო უწყებაში განაცხადეს.

გერმანიაში კლინიკას თავს დაესხნენ

დაიღუპა 4, დაშავდა 1 ადამიანი

გერმანიის ქალაქ პოტსდამში, „კლინიკა ობერლინში“ თავდასხმა განახორციელეს, რის შედეგადაც დაიღუპა ოთხი და დაშავდა ერთი ადამიანი.

სამართალდამცავებმა 51 წლის ეჭვმიტანილი ქალი დააკავეს, რომელიც აღნიშნულ საავადმყოფოში მუშაობს.

დაღუპულები და დაშავებული კლინიკის პაციენტები არიან.

მაია სანდუმ პარლამენტი დაშალა

მოლდოვის პრეზიდენტმა მაია სანდუმ პარლამენტი დაშალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სამი თვის განმავლობაში პარლამენტმა მთავრობის დაკომპლექტება ვერ შეძლო. საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტის დაშლა კანონიერად ცნო.

ვადამდელი არჩევნები 11 ივნისს გაიმართება.

პარლამენტში უმრავლესობას სანდუს კონკურენტის, ექსპრეზიდენტ დოდონის მომხრეები შეადგენდნენ.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახალ პარლამენტში უმრავლესობას სანდუს მომხრეები მოიპოვებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პლაჟზე სეირნობის დროს დამსვენებელმა დიდი ოდენობით კოკაინი აღმოაჩინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამი-ბიჩის პლაჟზე სეირნობის დროს დამსვენებელმა კოკაინის შეკვრები აღმოაჩინა, რომლის ფასი 1,5 მილიონ დოლარს აღემატება. ამ ინფორმაციას ტვიტერში საკუთარ გვერდზე პოლიციელი ტომას მარტინი ავრცელებს.

ორშაბათს, 26 აპრილს, ცნობილი გახდა, რომ დასვენების დღეებში, მოქალაქემ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, სანაპიროზე გამორიყული ნარკოტიკების პარტია აღმოაჩინა და ხელისუფლებას შეატყობინა. საგულდაგულოდ შეფუთულ შეკვრებში 29 კილოგრამი კოკაინი აღმოჩნდა. ნაპოვნი ნარკოტიკები აშშ-ის სასაზღვრო კონტროლის სამსახურს გადაეცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ოჯახმა კოვიდ-19-ის სამკურნალოდ მათეთრებლის გაყიდვით მილიონი დოლარი იშოვა

ამერიკის ფლორიდის შტატში ასამართლებენ ოჯახს, რომელიც მათეთრებელს კოვიდ-19-ის და სხვა დაავადებების სასწაულმოქმედ წამლად ასაღებდა.

დანაშაულებრივი თაღლითობით დაკავებული იყო 62 წლის მარკ გრენონი თავის სამ მოზრდილ შვილთან – 34 წლის ჯონათან, 26 წლის ჯორდან და 32 წლის ჯოზეფთან ერთად. ისინი ადამიანებზე ჩუმად ყიდიდნენ სამრეწველო მათეთრებელს, რომელმაც მისი დალევის შემთხვევაში შესაძლოა თირკმლის მწვავე უკმარისობა გამოიწვიოს. ტოქსიკური ნივთიერების გაყიდვით ოჯახმა მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

გრენონები მათეთრებელს ეკლესიის სახელით საუკეთესო წამლად ასაღებდნენ. ოჯახის წევრები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიერ გაყიდულ წამალს კიბოს, დიაბეტის, აუტიზმის, შიდსის და სხვა სერიოზული დაავადებების განკურნება შეუძლია. 2020 წელს სასამართლოს დადგენილება ოჯახისგან ქიმიური ნივთიერებების გაყიდვის შეჩერებას მოითხოვდა, მაგრამ ისინი „სასწაულმოქმედი წამლის“ გაყიდვას აგრძელებდნენ.

ოჯახის წევრებს ბრალდებად წაყენებული აქვთ თაღლითობის მიზნით შეთანხმება და სასამართლოს დადგენილების დარღვევა. მარკ გრენონს დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

ქალმა ფეხმძიმობა დამალა და მეუღლის მალულად საყვარელს გაჰყვა ცოლად

ინგლისის სურეის საგრაფოს ქალაქ გილფორდის მცხოვრებ ქალს შვიდ წლამდე პატიმრობა ემუქრება ფეხმძიმობის დამალვისა და ქმრისგან მალულად საყვარელზე გათხოვების გამო.

1999 წლის მაისში ბრინდა კანტამანენი ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატში ცოლად გაჰყვა მამაკაცს, სახელად რავი ინს. იმავე წელს წყვილმა ინდური ტრადიციის მიხედვით იქორწინა. მათ შემდგომში ორი ბავშვი ეყოლათ.

2017 წლის ოქტომბერში ლონდონში ქალი მეორედ, ოღონდ ამჯერად მალულად, ცოლად გაჰყვა თავის 45 წლის საყვარელს მეთიუ ჰოლს. ამისთვის კანტამანენმა ქორწინების მოწმობაში მამის სახელი გააყალბა. ქალი და მისი საყვარელი ერთმანეთისგან ფეხით სამი წუთის სავალზე ცხოვრობდნენ.

ინი გაოგნდა, როდესაც ცოლის მეორედ გათხოვების შესახებ შეიტყო და მათ წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. სასამართლოში მან განაცხადა, რომ მათ ქორწინებაში პრობლემები 2017 წელს მას შემდეგ დაიწყო, რაც მეუღლე სახლში უფრო და უფრო მცირე დროს ატარებდა. მან იეჭვა, რომ მას სხვა მამაკაცთან ჰქონდა ურთიერთობა. როდესაც ის ცოლთან ამ საკითხზე დალაპარაკებას ცდილობდა, ქალი აგრესიული ხდებოდა ან თავის მოკვლით ემუქრებოდა.

იმავე წლის დეკემბერში ინმა შეიტყო, რომ კანტამანენი მეორედ გათხოვდა და ის ცოლს 2019 წელს გაეყარა.

ქალმა აღიარა, რომ ჰოლთან დაქორწინებისა და მისგან ბავშვის გაჩენის დროს ჯერ კიდევ ინთან ოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდა. მოსამართლის თქმით, ქალის მიერ კანონიერი მეუღლისგან ფეხმძიმობის დამალვა დამამძიმებელ გარემოებად ითვლება.

ახლა ქალს პატიმრობა ემუქრება. ორქმრიანობისთვის მაქსიმალური სასჯელი შვიდ წელს შეადგენს. სასამართლო განაჩენს მაისში გამოაცხადებს.

ძმის მცირე საჩუქარმა იუბილარი და გაამდიდრა

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ აპერ მარლბოროს მცხოვრებმა ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი დაბადების დღეზე ძმის მიერ მირთმეული მცირე საჩუქრის წყალობით მოხსნა.



ელისაბედ კოკერ-ნამმა ძმისგან საჩუქრად მომენტალური ლატარიის ბილეთი დაბადების დღიდან ორი დღის შემდეგ მიიღო. მას ბილეთი გადაავიწყდა და მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გაახსენდა, როდესაც ძმას ტელეფონზე ელაპარაკებოდა. ამის შემდეგ ელისაბედმა მაშინვე შეამოწმა გათამაშების შედეგები და აღმოაჩინა, რომ 500 ათასი დოლარით გამდიდრდა.

– მე ვყვიროდი, ისიც ყვიროდა, ორივე ვყვიროდით! – იხსენებს კოკერ-ნამი.

ძმა დას ლატარიის შტაბბინაში გაჰყვა და მოგებული პრიზის მიღებაში დაეხმარა. მოგებული თანხის ნაწილით და ძმისთვის დაუვიწყარი დაბადების დღის გადახდას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ომარ მხეიძე 86 წლის გახდა

ანსამბლ „სუხიშვილების“ ოქროს თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მოცეკვავე ომარ მხეიძე 86 წლის გახდა. პანდემიის გამო, დაბადების დღე ხელოვანმა ოჯახის წევრების გარემოცვაში მოკრძალებულად აღნიშნა.

„სუხიშვილების“ პირველი თაობის მოცეკვავეთა შორის მასში მოღვაწეობით ყველაზე ასაკოვანი სწორედ ომარ მხეიძეა. მან ანსამბლის პირველ თაობაში 30 წელი იცეკვა და 18 წლიდან სწორედ ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის შთაგონებით განვლო გზა. როგორც მოცეკვავე ამბობს, მას ყველაფერი დეტალურად ახსოვს – ვაგონში ცხოვრებით დაწყებული, მსოფლიო აღიარებით დამთავრებული. ომარ მხეიძე დღესაც არ მალავს, რომ მათ წინაშე დღემდე მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული და გადაწყვეტილი აქვს, თავის შთამომავლებსაც დაუბაროს, ამ ორი გენიოსის ხსოვნის წინაშე ყოველთვის ქედი მოიხარონ:

– 8 წლის დაარსებული იყო ანსამბლი, როცა მიმიწვიეს. არანაირი შემოწმება არ გამივლია. მათ შვილივით ვყავდი. ნინო რამიშვილი ჩემი მეორე დედა იყო. 30 წელიწადი მისი კალთის ქვეშ ვიზრდებოდი. 30 წელი ვიყავი ანსამბლში და წამოსვლა ძალიან გამიჭრდა, მაგრამ რას იზამთ, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ახლაც ხშირად მესიზმრება, რომ კონცერტი გვაქვს და სცენაზე გასასვლელად ვემზადები, ამ დროს კი ან ხანჯალს ვერ ვპოულობ, ან ფარს და გაოფლილს მეღვიძება ხოლმე.

გია მურღულია: „საკუთარი მშობლის შემგინებელი ღმერთის შემგინებელიც არის“



ფილოლოგი გია მურღულია დედის მაგინებელ ადამიანებს მიმართავს:

– როდესაც ვინმე საკუთარ დედას აგინებს და ამას პიროვნულ ღირსებადაც მიიჩნევს, რა შემაძრწუნებლად ბევრნი არიან, ყველა ბრძოლაში, რომელიც საქართველოს გადაუხდია, მტრის მხარეს იბრძვის. საუკუნეთა განმავლობაში ხმლის ყოველი მოქნევა ჩვენ წინააღმდეგ მის „სინდისზეა“.

საკუთარი მშობლის შემგინებელი ღმერთის შემგინებელიც არის, ეს კი ერთადერთ უპატიებელ ცოდვად მიიჩნევა.

ვინც დედაზე გონებაში ასეთ უკეთურ ფიქრსაც კი გაივლებს, საკუთარ თავსაც შეურაცხყოფს, რადგან ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება და უარყოფს.

რა ბითური, საწყალი და სამყაროს წინაშე დამცირებული ხარ შენ, ვინც თუნდაც ამწუთას წარმოთქვი საშინელი სიტყვები, რომლებისაც რიყეზე დაგდებულ უკანასკნელ ქვასაც რცხვენია!

მხოლოდ ისევ დედა თუ შეუნდობს საკუთარ შვილს ასეთ მკრეხელობას.

თუ ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ არარაობაა, ეს მას შეღავათს არ აძლევს არც დროისა და არც მარადისობის წინაშე.

ასეთები წესიერი საზოგადოებისგან მხოლოდ ზიზღს იმსახურებენ.

თუმცა, ყველა დედის სახელით, სიკეთესთან დაბრუნების ერთი შესაძლებლობა მათაც ეძლევათ.

მეტი – არა.

დინა მირცხულავა: „ჩუმად ადამიანებო!“

ნოველისტი დინა მირცხულავა ადამიანებს გაჩუმებას მაშინ ურჩევს, როცა ისინი ბედნიერები არიან და თანაც იციან, რომ მათი ბედნიერებით ვიღაც უბედურია:

– როცა იცი, შენი ბედნიერებით ვიღაც უბედურია, ჩუმად იყავი. ნუ იყვირებ.

რა თქმა უნდა, ყველას აქვს ბედნიერების უფლება, მაგრამ ამის ყვირილის უფლება ყველას არა აქვს.

ჩვენ რამდენჯერმე ვკვდებით და მერე სიცოცხლესაც თავიდან ვიწყებთ, ამიტომ არ მიკვირს, როცა ადამიანები ახალ ცხოვრებას, ახალ ურთიერთობებს იწყებენ...

მაგრამ ხომ შეიძლება, ერთმანეთის გულებზე არ გადავიაროთ?!

ყოველი გადარჩენილი ადამიანის უკან დგას ერთი ვერგადარჩენილი ადამიანი.

ყოველი ბედნიერის უკან 2 ერთი უბედური და ყოველი გამარჯვებულის უკან 2 ერთი დამარცხებული.

ჩუმად, ადამიანებო, ჩუმად.

მოქანდაკე ირაკლი ჟვანიას 4000 ლარს სთხოვენ

მოქანდაკე ირაკლი ჟვანიას მერიის შპს-მ, რომელიც შადრევნებს უვლის, სასამართლოში უჩივლა და მისგან 4000 ლარს ითხოვს:

– ტიციან ტაბიძე ამაზრზენმა ბოლშევიკებმა რომ დააპატიმრეს, წამებისგან ძალადაკარგულს მაინც ეყო იუმორის გრძნობა და ჩვენებაში დაუწერია, გიორგი სააკაძის ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრი ვიყავიო. იმ გამოქლიავებულ რეგვენ გამომძიებელს კი გიორგი სააკაძეზე ძებნა გამოუცხადებია. მოგონილი გეგონებათ ალბათ, სადამდე შეიძლება ფანტაზია გაწვდეს სირეგვენის...

თბილისის მერიის შპს-მ, რომელიც შადრევნებს „უვლის“, სასამართლოში მიჩივლა და 4000 ლარს მთხოვს იმის გამო, რომ... მუსიკოსების ქანდაკებებმა წყლისგან ფერი იცვალა... უკიდეგანოა ამათი „სახელმწიფოებრივი აზროვნება“, ქიმიის გაკვეთილებზე მაინც გევლოთ სხვა თუ არაფერი.

ამათ ნაირების ხელში 37-ში ხალხის მტრად გამოცხადება და იმქვეყნად გაშვება გარანტირებული გვექნებოდა, კიდევ კარგი, იმ ეპოქაში არ ვცხოვრობთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სიტი პსჟ-ს უპირატესობით დახვდება

პსჟ-სიტი 1:2

1:0 მარკინიოსი (15), 1:1 დე ბრუინი (64), 1:2 მარეზი (71)

პსჟ: ნავასი, ფლორენცი, მარკინიოსი, კიმპემბე, ბაკერი, გიე, პარედესი (ანდერ ერერა 83), დი მარია (დანილო 80), ვერატი, ნეიმარი, მბაპე

სიტი: ედერსონი, უოკერი, სტოუნსი, დიაში, კანსელო (ზინჩენკო 61), გიუნდოგანი, როდრი, დე ბრუინი, მაჰრეზი, ბ.სილვა, ფოდენი

ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს გუნდებმა. თავიდან პარიზელებმა მალე აუღეს ალღო თამაშს და რამდენიმე ხიფათი შექმნეს, რომელიც ბოლოს მარკინიოსის გოლით დასრულდა – 1:0.

ამის მერეც პსჟ უკეთ გამოიყურებოდა და კიდევ შეეძლო გატანა. სიტი კი მოედანზე ისე გადაადგილდებოდა, თითქოს ძალა არ ყოფნიდა. შედეგად, შესვენებამდე პსჟ-ს დომინირება აშკარა ჩანდა.

შესვენების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. პსჟ საკუთარ საჯარიმოსთან ჩაიკეტა და პეპ გვარდიოლას გუნდს ბურთის კონტროლი სრულიად დაუთმო. ბურთი მუდმივად კეილორ ნავასის კარის სიახლოვეს ტრიალებდა და პარიზელთა ერთ-ერთი შეცდომა კევინ დე ბრუნმა გამოიყენა – 1:1.

„ქალაქელებმა“ საკუთარი თამაში დაიჭირეს და რამდენიმე წუთში რიად მარეზიმ სტუმრები დააწინაურა. ფრანგმა საჯარიმო დარტყმის დროს „ცოცხალი კედლის“ შეცდომით ისარგებლა – 1:2.

დარჩენილ დროში სიტის უპირატესობამ მხოლოდ ის მოიტანა, რომ მოედნიდან გეიე გააძევეს, ანგარიში კი უცვლელი დარჩა.

საპასუხო მატჩი 4 მაისს მანჩესტერში გაიმართება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: რიად მარეზი

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დრო სიტი უსაქმოდ იყო მოედანზე, მარეზი მათ შორის გამოირჩეოდა. იმის მერე კი, რაც თავად იგდო კონტროლი თამაშზე, მარეზი შეტევის ერთ-ერთი შემოქმედი გახდა. დაუფასდა კიდეც და გამარჯვების გოლი მასზეა.

პეპ გვარდიოლა:

– თამაში კარგად დავიწყეთ, მაგრამ გოლი გავუშვით და მეტოქემ ზეწოლაც გაზარდა. თუმცა, მეორე ტაიმი უკეთ ვითამაშეთ, სტუმრად ორი გოლი გავიტანეთ, რაც ასე მნიშვნელოვანია. მაგრამ შინ არანაკლებ მძიმე მატჩი გველის. გუნდს ამ ეტაპზე ჩემპიონთა ლიგის სათანადო გამოცდილება არ აქვს, რაც თამაშში ისახება. მხოლოდ იმას ვისურვებ, რომ საპასუხო მატჩში საკუთარი სტილი არ დავკარგოთ. არ არის იოლი, როცა ნეიმარს, მბაპეს და დი მარიას ეთამაშები.

მაურისიო პოჩეტინო:

– 2 განსხვავებული ტაიმი იყო. პირველ ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და შესვენებაზე უპირატესობით გასვლა დავიმსახურეთ. მეორე ტაიმში მეტოქემ უკეთ ითამაშა, უფრო მეტი შანსი შექმნეს და 2 გოლი გაგვიტანეს. საპასუხო მატჩის წინ სიტი უპირატესობას ფლობს, მაგრამ ფეხბურთში ყოველთვის ბოლომდე უნდა სცადო.

დილამ და ლოკომოტივმა ქულები ისევ დაკარგეს

დილა-სამტრედია 1:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

1:0 გაგნიძე (35), 1:1 ერაძე (50)

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, სილვა, ეტოუ, ბულრიძე (ა.სანტოსი 46), ნონდი, გაგნიძე, ბიძინაშვილი, კაპანაძე (მადინგა 88), კამარა (წოწონავა 70)

სამტრედია: ქურდაძე, ერაძე, გიორგაძე, ნადირაძე, ცეცხლაძე (რობაქიძე 69), კვირკვია, მესიაჩენკო (გადირზადე 69), კობახიძე (ლუკავა 58), რუხაძე, იოსელიანი, ჟუნიორი (ლომთაძე 31)

ლიდერთა შორის ყოფნაზე პრეტენზიების მქონე დილას ზედიზედ მეორედ ქულების დაკარგვა გეგმაში არ ქონია, მაგრამ სამტრედიასთან ვერაფერს გახდნენ.

თავის მხრივ ქულები იმერლებსაც სჭირდებოდათ, რადგან გუნდი გასავარდნ ზონასთან ტრიალებს.

სანახაობრივად კარგი საყურებელი გამოდგა. იგებდა კიდეც დილა გაგნიძის გოლით, მაგრამ ტაიმის განახლებიდან მალევე, ერაძის გოლით გია ცეცაძის გუნდმა გაათანაბრა.

აქედან მოყოლებული, დილა უფრო უტევდა, მომენტებიც შექმნა, მაგრამ ჯერ კაპანაძემ, შემდეგ – კამარამ ახლო მანძილიდან ვერ გაიტანეს, რამდენჯერმე კი, ქურდაძემ იხსნა თავისიანები და გუნდს ქულა მოუპოვა.

თელავი-ლოკომოტივი 2:2

თელავი. კავკასიონი არენა

0:1 იმრანი (6), 1:1 ბაშალეიშვილი (15), 2:1 ბერიაშვილი (33), 2:2 სანდოხაძე (72)

თელავი: თანდილაშვილი, მარაქველიძე, ბერიაშვილი, მ.ბაშელეიშვილი, ჯანელიძე, ჯიქია, ინჯგია (ბაიბალაევი 90), ფაცაცია, შეყილაძე (ციცქიშვილი 58), ძოწენიძე, არდაზიშვილი (აშორტია 66)

ლოკომოტივი: მამარდაშვილი, კაშია, დარცმელია (იაკობიძე 64), სიხარულიძე, გავაშელიშვილი (სამურკასოვი 59), იმრანი (კახაბრიშვილი 80), შონია, სანდოხაძე, კირკიტაძე, გაბაძე, უბილავა

გაძევება: ჯანელიძე (88)

ორივე გუნდი განსხვავებული სახით შეხვდა შეხვედრას. მასპინძლები ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, ბესიკ აბულაძემ გაიყვანა სათამაშოდ, ლოკომოტივის თავკაცი გიორგი ჭიაბრიშვილი კი დისკვალიფიკაცირებულია.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, შონია-კირკიტაძის თამაშის შემდეგ ომრან იმარმა დააფასა თანაგუნდელების გარჯა.

მასპინძლებმა გაათანაბრეს – მე-15 წუთზე მიხეილ ბაშელეიშვილმა გაიტანა. 33-ე წუთზე კი, კახური გუნდი წინაც გავიდა – გიორგი ჯანელიძის კუთხურის შემდეგ, ილია ბერიაშვილმა თავით დაარტყა ზუსტად.

72-ე წუთზე იმრანმა უკვე ასისტენტობა ითავა, გოლი კი ნიკა სანდოხაძემ გაიტანა – 2:2.

ამის შემდეგ მცირე უპირატესობა ლოკომოტივის მხარეს იყო, 88-ე წუთზე მასპინძლებს გიორგი ჯანელიძეც გაუძევეს, მაგრამ ანგარიშში აღარაფერი შეცვლილა.

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	10	7	1	2	18-9	22
2.დინამო (ბთ)	10	5	4	1	12-6	19
3.დილა	11	5	4	2	13-8	19
4.საბურთალო	10	4	5	1	13-9	17
5.ლოკომოტივი	11	4	3	4	18-19	15
6.შუქურა	10	3	4	3	10-9	13
7.სამგურალი	10	3	3	4	9-11	12
8.სამტრედია	11	2	2	7	10-17	8
9.თელავი	11	1	4	6	9-18	7
10.ტორპედო	10	0	6	4	6-12	6

ხინჩეგაშვილისთვის ოლიმპიადა ნაადრევად დასრულდა



2021 წელს ტოკიოში გასამართ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციამ ერთი მედალი ნაადრევად დაკარგა. ამის მიზეზი ის არის, რომ კორონავირუსის გამო საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, 2016 წლის რიოს ოლიმპიური თამაშების ოქროსმედალოსანი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ტოკიოს ოლიმპიადის მიღმა დარჩა.

ტესტის შედეგის გამო, ქართველი ფალავანი ოლიმპიური თამაშების დასკვნით სალიცენზიო ტურნირზე ვერ მიემგზავრება და მეტი შანსი აღარ ექნება.

– ყველაზე უადგილო მომენტი და ყველაფერი დასრულებულია, – დაწერა ხინჩეგაშვილმა სოციალურ ქსელში.

მოჭიდავეებისთვის მომავალი ოლიმპიადის ბოლო საგზურები 6-9 მაისს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში უნდა გათამაშდეს. 65 კგ-მდე წონით კატეგორიაში ლიცენზია არ გვაქვს. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ წავა ხინჩეგაშვილის ნაცვლად ტურნირზე.

კორონავირუსზე დადებითი ტესტი აღმოაჩნდათ საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების სხვა წევრებს – ხვიჩა ბუჯიაშვილსა (57) და ზურაბ იაკობიშვილს (70).

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა ევრომეტოქეები გაარკვია

გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ევრობასკეტ 2022-ის წილისყრა გაიმართა და საქართველოს ნაკრების მეტოქეებიც გაირკვა.

საქართველო ჯგუფში მოხვდა თურქეთის, რუსეთის, ესპანეთის, ბელგიისა და ბულგარეთის ნაკრებებთან ერთად.

დანარჩენი ჯგუფები ასე გადანაწილდა:

ბ ჯგუფი (ბერლინი): გერმანია, ლიეტუვა, საფრანგეთი, სლოვენია, უნგრეთი და ბოსნია ჰერცოგოვინა;

ც ჯგუფი (რომი): იტალია, ესტონეთი, საბერძნეთი, ხორვატია, უკრაინა და დიდი ბრიტანეთი;

დ ჯგუფი (პრაღა): ჩეხეთი, პოლონეთი, სერბეთი, ფინეთი, ისრაელი და ნიდერლანდები.

ჯგუფებიდან 4-4 საუკეთესო პლეი ოფში გავა და თამაშს მერვედფინალიდან გააგრძელებს. ევრობასკეტი 2022 წლის 1-18 სექტემბერს ჩატარდება, ჯგუფური ეტაპის მატჩებს კიოლნი (გერმანია), მილანი (იტალია), პრაღა (ჩეხეთი) და თბილისი უმასპინძლებენ, პლეი ოფი კი ბერლინშია დაგეგმილი.

შედეგები

28 აპრილი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

პსჟ-სიტი 1:2

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-ზანდჰაუზენი 3:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბილბაო-ვალიადოლიდი 2:2

სატუნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	33	22	7	4	60-22	73
2.რეალი	33	21	8	4	56-24	71
3.ბარსელონა	32	22	5	5	76-29	71
4.სევილია	33	22	4	7	49-26	70
5.სოსიედადი	33	14	11	8	51-34	53
6.ბეტისი	33	14	8	11	42-45	50
7.ვილიარეალი	33	12	13	8	50-38	49
8.ბილბაო	33	10	12	11	43-36	42
9.გრანადა	32	12	6	14	41-53	42
10.სელტა	33	10	11	12	44-51	41
11.ოსასუნა	33	10	10	13	31-39	40
12.ლევანტე	33	9	11	13	38-46	38
13.კადისი	33	9	10	14	28-49	37
14.ვალენსია	33	8	12	13	41-48	36
15.ხეტაფე	33	8	10	15	26-39	34
16.ალავესი	33	7	10	16	28-49	31
17.ვალიადოლიდი	33	5	15	13	31-45	30
18.ელჩე	33	6	12	15	29-49	30
19.უესკა	33	5	12	16	31-50	27
20.ეიბარი	33	4	11	18	23-46	23

საფრანგეთი. ლიგა 2

დიუნკერკი-ამიენი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ტიროლი-რაპიდი 2:3

ლინცერი-შტურმი 0:0

ზალცბურგი-ვოლფსბერგერი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

გიოზთეფე-ტრაბზონი 1:1

ქაისერი-დენიზლი 6:3

ქარაგუმრუქი-ანთალია 2:2

გალათასარაი-ქონია 1:0

რიზე-ბეშიქთაში 2:3

პოლონეთი. ექსტრაკლასი

იაგელონია-ჩენსტოხოვა 0:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლიმპიკი-ზორია 2:1

ლვოვი-რუხი 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სანადირო თოფების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 2. მდინარის ჩამონატანი ილა, თიხა, ღორღი; 3. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 6. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 9. მზის გადასაღები ფოტოაპარატიანი ტელესკოპი; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. რაიმე ჩამონათვალი; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

თარაზულად: 1. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი ხორვატიაში; 4. წყნარი ოკეანისპირა პოპულარული კურორტი მექსიკაში; 7. იაპონურ ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 8. იახტის სამართავი საჭე; 12. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 13. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 15. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. ნიადაგის გამაფხვიერებელი აგრეგატი; 20. ვაშლის ღვინო; 21. ტკბილი, დესერტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მაყრიონი; 2. ყიფიანი; 3. სმოგი; 4. ქუვეითი; 5. რემისია; 10. დინასტია; 11. მუჯურეთული; 12. აზბესტი; 15. ბობოყვათი; 16. ხვიფლი; 17. როკფორი; 20. კუსტო.

თარაზულად: 6. კარდიოგრამა; 7. გურიელი; 8. შპიგელი; 9. ლორენი; 13. ვანი; 14. გუბაზი; 18. ლელობურთი; 19. რომბი; 21. იუნგა; 22. ფიკუსი; 23. აინშტაინი; 24. ერისიონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყუმი; 2. აპაჩი; 3. შრატი; 5. ნადუღი; 6. კემპინგი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. მეი; 16. ბატიკა; 18. რიგა.

თარაზულად: 1. ყავარი; 4. დინამიკა; 7. საბენა; 8. ტარხუნა; 12. აკაბა; 13. ამპერი; 15. ედიქტი; 17. ნიუ; 19. აზერბაიჯანი; 20. ყანწი; 21. სამაია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.4529

ევრო
— 4.1666

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.7912

100 რუსული
რუბლი
— 4.6217

ამინდის პროგნოზი 30 აპრილისათვის

მესი მზად არის ბარსელონასთან კონტრაქტის გასაფორმებლად

ბარსელონას არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი მზად არის გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს, თუმცა ჯერჯერობით მოლაპარაკებები არ დაწყებულა და მესი სეზონის დასასრულს ელოდება.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მესი მზად არის, ხელფასის შემცირებაზე დათანხმდეს, რადგან მას კარგად ესმის ბარსელონას დღევანდელი მდგომარეობა. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ მისი კატალონიურ გუნდში დარჩენა თითქმის გადაწყვეტილი ამბავი იქნება.

ნეიმარს პსჟ-დან წასვლა არ სურს

ნეიმარმა თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა რომ მას არ სურს პსჟ-დან წასვლა და ის აუცილებლად გააფორმებს ახალ კონტრაქტს პარიზულ გუნდთან. ნეიმარის თქმით, ის ბედნიერია და კარიერაში არაფრის შეცვლა არ სურს:

– არ ვიცი, ჭორები რატომ ვრცელდება და ისინი რას ემსახურებიან, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ არსად წასვლა არ მსურს და მინდა, რომ პსჟ-სთან ერთად ბევრ წარმატებას მივაღწიო.

რიად მარეზი: „დე ბრუინემ ჯარიმის დარტყმის საშუალება მომცა“

მანჩესტერ სიტიმ ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალში პსჟ სტუმრად 2:1 დაამარცხა და შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი რიად მარეზმა გაიტანა საჯარიმო დარტყმით. მარეზმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ დე ბრუინემ მას დაუთმო საჯარიმო დარტყმის უფლება და უთხრა, რომ მას ეს უკეთესად გამოუვიდოდა:

– კევინმა მითხრა, რომ ჯარიმა უნდა დამერტყა და გოლის გატანის შანსი მქონდა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამის გაკეთება მოვახერხე და გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვუტანე.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

პრეზიდენტს მრჩეველი მოახსენებს:

– ბატონი პრეზიდენტო, ხალხს პირი აქვს დაღებული და სიტყვის თავისუფლებას მოითხოვს. როგორ მოვიქცეთ?

– სიტყვის თავისუფლება მიეცით, პირი მოაკეტვინეთ!

•••

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– თქვენ ბოროტმოქმედი ხართ და სასამართლოში გიჩივლებთ!

– ოჰ, შე ჩათ...ო! შენ თვითონ შემიტყუე საწოლში, ახლა კი გინდა, გაუპატიურება დამდო ბრალად?!

– არაფერიც, თაღლითობა! შენ მე მომატყუე მთელი ოცი სანტიმეტრით და დროის მთელი ორი საათით!

– გამორიცხულია, ქალბატონო, ეს ორი წუთი მხოლოდ წვრილმან ხულიგნობაზე თუ გაქაჩავს.

•••

ავტობუსში ქალი მგზავრობს და ტელეფონზე საუბრობს:

– ... და შენ წარმოგიდგენია, ქეთი, შევდივარ ჩვენს საძინებელში, იქ კი ის ნაძირალა მეზობელ ქალთან ჩვენს ლოგინში კოტრიალობს. მე თითის წვერებზე, უხმაუროდ გამოვედი, შევედი სამზარეულოში, ავიღე... ვაიმე, ქეთი, ჩემი გაჩერებაა, სამსახურიდან ექვს საათზე გამოვალ და გზაში ბოლომდე მოგიყვები.

საღამოს ექვს საათზე იგივე ქალი ჯდება ავტობუსში, იქ კი იგივე სახეებია. ამ დროს კარში მამაკაცი შემოხტა და სულის მოთქმის შემდეგ იკითხა:

– ხომ არ დავაგვიანე?

შემდეგ ქალს შეხედა და ეუბნება:

– რას მომშტერებიხარ? მიდი, ქეთის დაურეკე.

ნინო სურგულაძე: „მსოფლიო მალე დამშვიდდება და საქართველოც“

ასე სჯერა ოპერის მომღერალს ნინო სურგულაძეს და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებაში დარწმუნებულია:

– ყოველთვის მჯეროდა, რომ სიკეთე და ნათელი ამარცხებდა ბოროტებას და სიბნელეს. ასევე მწამს ახლაც და უფრო მეტადაც, ვიდრე ადრე.

მჯერა, რომ მსოფლიო მალე დამშვიდდება და საქართველოც. ჩვენ და ჩვენი შვილები ბედნიერ, ფერად და მშვიდობიან სამყაროში ვიცხოვრებთ.

მთავარია რწმენით ვიყოთ! მიყვარხართ!

კულტურის პალატა ოქროს ბრენდის მფლობელია

საქართველოს კულტურის პალატა და მისი პრეზიდენტი დათო ოქიტაშვილი ოქროს ბრენდის მფლობელები გახდნენ:

– საქართველოს კულტურის პალატა უკვე ოქროს ბრენდის მფლობელია. ჩატარებული კვლევის შედეგად იგი დასახელდა გამარჯვებულად ქართულ კულტურაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის. ეს ჯილდო ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, ვინც აქტიურად უდგას მხარში საქართველოს კულტურის პალატას. მადლობა თქვენ სიკეთისათვის და გვერდში დგომისთვის რაც ჩვენ ასე გვაძლიერებს.

გელათში უნიკალურ ფრესკებზე ხატები მიაჭედეს

გელათის წმინდა გიორგის ეკლესიაში უძველეს ფრესკებზე ლურსმნები დააჭედეს და მათზე ხატები ჩამოკიდეს.

ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– „სულიერება“ ახალქართულად: უნიკალურ ფრესკაზე დაჭედებული ხატები. გელათის წმინდა გიორგის ეკლესია. სააგენტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს, რომ ვისაც როგორ მოეპრიანება, თავისი უგემევნო სურვილებით ისე არ დაარჭოს ლურსმნები და ხატები უნიკალური ეროვნული საუნჯის, გელათი იქნება თუ სხვა ტაძრის ფრესკებსა და კედლებზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კიმ კარდაშიანის გარეგნობა სოციალურ ქსელში კამათის საგნად იქცა

ამერიკელმა მოდელმა და მეწარმემ კიმ კარდაშიანმა საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათების სერია გამოაქვეყნა და სოციალურ ქსელებში ცხარე კამათის მიზეზად იქცა. აღნიშნული ფოტოსურათები ინსტაგრამში მოდელის გვერდზეა გამოქვეყნებული.

ფოტოსურათებზე 40 წლის კარდაშიანი თავის 38 წლის მეგობარ ალანი ნიკოლ ენტონისთან ერთადაა აღბეჭდილი. ერთნაირ ბიკინიში გამოწყობილ ქალებს ფოტოები აუზის ფონზე აქვთ გადაღებული. კარდაშიანს ბაცი-ყავისფერი კომპლექტის ბიკინი აცვია, ხოლო ენტონის – თეთრ-მწვანე. მეორე კადრში ისინი დივანზე წამოწოლილები არიან გადაღებულები, რომლის კომენტარშიც კარდაშიანმა დაწერა: „გაწელილი შვებულება“.

სოციალური ქსელის მომხმარებლებმა ვარსკვლავების გარეგნობა საკუთარ კომენტარებში შეაფასეს.

– თქვენ უბრალოდ ულამაზესები ხართ! გალმერთებთ! – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა საკუთარ კომენტარში.

– თქვენ ისეთი ლამაზები ხართ! იდეალურები! – აღნიშნა მეორე ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– უბრალოდ, ღმერთქალები ხართ! დედოფლები! – დაწერა მესამემ.

თუმცა სხვებმა კარდაშიანი და ენტონი გააკრიტიკეს.

– ისე გამოიყურებით, თითქოსდა თქვენი სხეულები სილიკონითაა გაჭყეპილი, – აღნიშნა ერთ-ერთმა.

– არ ვისურვებდი, რომ დედაჩემი ისევე გამოიყურებოდეს, როგორ თქვენ გამოიყურებით, – დაწერა მეორემ.

– კიმი ავადმყოფს ჰგავს, – განაცხადა მესამემ.

– ალანის ფონზე კიმი ბებერივით გამოიყურება, – აღნიშნა კიდევ ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა,

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ესპანელი, რომელმაც კორონავირუსით 20-ზე მეტი ადამიანი დააინფიცირა, დააპატიმრეს

ორმოცი წლის მამაკაცი დააპატიმრეს ესპანეთის ქალაქ მაიორკაში თავდასხმის ბრალდებით, მას შემდეგ, რაც მან შეგნებულად დააინფიცირა კორონავირუსით 22 ადამიანი.

ესპანეთის პოლიციის განცხადების თანახმად, ის სამსახურში დაავადების სიმპტომების გამოვლენის და ტესტის ჩაბარების მეორე დღესვე გავიდა. კოლეგებმა მას სახლში წასვლა ურჩიეს, მაგრამ მამაკაცმა მათ რჩევას ყური არ ათხოვა.

მტკიცდება, რომ მამაკაცი მიუხედავად 40 გრადუსი სიცხისა და ხველისა, სამსახურში და სავარჯიშო დარბაზში სიარულს აგრძელებდა. ის სამსახურში მიდიოდა, სამედიცინო პირბადეს იხსნიდა, ახველებდა და კოლეგებს ეუბნებოდა, რომ მათ დაინფიცირებას აპირებდა.

მამაკაცის ხუთმა კოლეგამ და სპორტდარბაზის სამმა მოვარჯიშემ მოგვიანებით დადებითი შედეგი მიიღო კოვიდ-19-ის ტესტზე. კიდევ 14 ადამიანი, დაინფიცირებულთა ოჯახის წევრები ასევე კორონავირუსით დაინფიცირებულები აღმოჩნდნენ. მათ შორის სამი ერთი წლის ბავშვია.

პოლიციის მონაცემებით, ჯერჯერობით არც ერთი მათგანი ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს არ განიცდის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 აპრილისათვის

ვერძი – ეს დღე თამამად შეგიძლიათ მიუძღვნათ სიყვარულს, ოჯახურ ურთიერთობებს, ახალ ნაცნობობას, რომელიც ხანგრძლივ და სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდება. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობაც. **კურო** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გაუმართლებთ იმათ, ვინც რემონტს ან ბინის ინტერიერის განახლებას აპირებს. ფულის ნებისმიერი სახით დაბანდება მომგებიანი იქნება. **ტყუპები** – შანსი გეძლევათ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. განსაკუთრებით იღბლიანი დღის პირველი ნახევარია. **კირჩხიბი** – ფრთხილად იყავით. დიდია ახლობელთან კონფლიქტის ალბათობა. ნუ დაგეგმავთ შეხვედრას მეგობრებთან. **ლომი** – რთული დღეა. მამაკაცები უნდა ერიდონ ფიზიკურ გადაღლას. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** – ჯანმრთელობის კუთხით პრობლემებია მოსალოდნელი. დღეს დაისვენეთ, დაიცავით კვების რეჟიმი. **სასწორი** – ნუ იაქტიურებთ. დეპრესიული დღეა. უმჯობესია გაერთოთ, წახვიდეთ თეატრში ან კონცერტზე. **ღრიანკალი** – ზომიერების დაცვა, სიყვარული და თანხმობა დღის დევიზია. კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის. **მშვილდოსანი** – მომავლის გეგმები თამამად შეიმუშავეთ. გიმართლებთ. ნერვულ დაძაბულობას მოგიხსნით მოგზაურობა ან ბუნების წიაღში დასვენება. **თხის რქა** – ყოველგვარი ფინანსური საქმიანობა შეაჩერეთ. გადაწყვეტილებას ცხელ გულზე ნუ მიიღებთ. ერიდეთ ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრას. **მერწყული** – ყურადღებით იყავით საქმიანი ქაღალდების ხელმოწერისას. თქვენი თითოეული მოქმედება და საუბარი აკონტროლეთ. ფულს ნუ გაასესხებთ. **თევზები** – კონფლიქტური დღეა. კამათი და საქმის ნებისმიერი გარჩევა სკანდალით დასრულდება. ბიზნესპარტნიორებს არ ენდოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ქალაქ ბარსელონას ძველი სახელწოდება; 5. ქიმიური ინდიკატორი; 10. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 11. მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. ქართველი შტანგისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ტვირთის დროებითი საცავი საბაჟოზე, ნავსადგურში; 16. რუმინელი კომპოზიტორი, პიანისტი, მევიოლინე, დირიჟორი; 17. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 20. ამბის მომტანი, შიკრიკი.

თარაზულად: 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. ღამის პეპელა; 8. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 9. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 13. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 18. საერთაშორისო, კომპიუტერული, საინფორმაციო ქსელი; 19. უხეში, გაუზრდელი, ბრიყვი ადამიანი; 21. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 22. ხშირი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 23. რამდენიმე ბანკის, კომპანიის გაერთიანება; 24. ფილატელისტის ალბომი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა